www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 13 აგვისტო, 2013 წელი. | №3343 (150) | ფასი 50 თეთრი

## ცესკო თავმჯდომარის გარეშე

მაგდა ლეკიაშვილი

*ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან წასვლის შესახებ განცხადება ზურაბ ხარატიშვილმა გუშინ დაწერა. ამ დროისთვის იგი ოფიციალურად შვებულებაში იმყოფება.*

ცესკო-ში ხარატიშვილის თანამდებობიდან გადადგომის მიზეზებზე არ საუბრობენ. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერმა ეკა აზარაშვილმა განაცხადა, ამ ეტაპზე დამატებით დეტალებს ვერ გაავრცელებს. 15 აგვისტოს თავად ზურაბ ხარატიშვილი აპირებს საზოგადოებისთვის იმ ვითარების ახსნას, რის გამოც თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ცესკო-ში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარის ფუნქციებს ხარატიშვილის მოადგილე დავით კირთაძე შეასრულებს.

საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის შესარჩევად, პრეზიდენტმა კანდიდატები ცესკო-ს ოპოზიციურ ფრთას უნდა წარუდგინოს. თავმჯდომარის არჩევისთვის კანონი შემდეგ წესებს ადგენს: თავმჯდომარე აირჩევა პრეზიდენტის წარდგინებით, ცესკო-ში პარტიების მიერ დანიშნული წევრების (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) ან პარლამენტის მიერ. კანონის თანახმად, ცესკო-ს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში - შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15 დღისა, პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკო-ს სამ კანდიდატურას წარუდგენს, რის შემდეგაც თავმჯდომარეს ცესკო-ში პარტიების მიერ დანიშნული პირები ირჩევენ.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

## მარგველაშვილმა საარჩევნო კამპანია ნოქალაქევიდან დაიწყო

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო კამპანია გუშინ ნოქალაქევიდან დაიწყო. მარგველაშვილი პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მხარდამჭერების წინაშე წარადგინა და აღნიშნა, რომ საქართველოში დაიმსხვრევა სტერეოტიპი, თითქოს ქვეყნის პრეზიდენტი ზეკაცია, რომელიც ყველაფერს ჩვენ მაგივრად გადაწყვეტს. ივანიშვილის აზრით, გიორგი მარგველაშვილი ჩვენი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი და ევროპული ყაიდის ლიდერია. როგორც ივანიშვილი ამბობს, მარგველაშვილი ერთი კაცის ჭკუაზე ქვეყნის მართვის სისტემას დაამსხვრევს. **„მარგველაშვილი ყველას დაანახებს, რომ ჩვენც შეგვიძლია დემოკრატიული პრინციპებით აზროვნება და სახელმწიფოს შენება,“** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მარგველაშვილი არასდროს გამოკიდებია თანამდებობას და მას მაღალი თანამდებობის გარეშეც ღირსეული ადგილი უჭირავს საზოგადოებაში. ივანიშვილის თქმით, მარგველაშვილი გამორჩეული ადამიანია, რომელსაც პიროვნული თავისუფლებისთვის არასდროს უღალატია. ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ მარგველაშვილი, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ყველას ინტერესების დამცველი იქნება.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

## პრეზიდენტი და პრემიერი „ბალკლიზე“



ბათუმში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდ «ბალკლიზე“, გემის კაპიტან მეტ ფილიპსის სახელით, მიღება გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდნენ. «ბალკლიზე“ ასევე იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აჭარის ავტონომიის მთავრობის ხელმძღვანელი არჩილ ხაბაძე.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

## მერაბიშვილისთვის გირაოს შეფარდებას ითხოვენ

მაგდა ლეკიაშვილი

ყოფილი პრემიერის ვანოს მერაბიშვილის მიმართ 26 მაისის მოვლენების გამო დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას მოითხოვს მისი ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი. გუშინ ადვოკატმა, შოთა უტიაშვილთან ერთად, ჟურნალისტებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებითა და დაფინანსებით, ამერიკული ფირმა „დენსუსის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი წარუდგინა. დასკვნაში ნათქვამია, რომ 26 მაისის ღამეს ოფიცერთა დიდი ნაწილი მოქმედებდა დისციპლინირებულად, მუდმივად ასრულებდა ბრძანებებს და იყენებდა მიზნის მისაღწევად პროპორციულ და აუცილებელ ძალას. დოკუმენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წელს გადაეცა. მერაბიშვილის ადვოკატის თქმით, დასკვნის გადმოცემას ისინი უკვე დიდი ხანია, ითხოვენ, თუმცა მთავარმა პროკურატურამ მათი თხოვნა მხოლოდ ახლა გაითვალისწინა.

რაც შეეხება დასკვნის შინაარსს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ყოველ წელს მასშტაბური ღონისძიებით აღინიშნება. აქციის მონაწილეები 25 მაისს «საზოგადოებრივი მაუწყებლის» მიმდებარე ტერიტორიიდან რუსთაველის გამზირისკენ დაიძრნენ, სადაც მათ აქციის გამართვის უფლება არ ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიამ მათ ამის ნებართვა ღამის 00:00 საათამდე მისცა, რათა შემდეგ აღლუმის საორგანიზაციო სამუშაოები ჩაეტარებინათ. თუმცა აქციის მონაწილეები მთელი დღე საჯაროდ აცხადებდნენ, რომ დამოუკიდებლობის დღის აღლუმს ჩაშლიდნენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6452⇩ |
| 1 ევრო | 2.0679⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5746⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.9116⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.1083⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 33°C - 21°C |
| ქუთაისი | 29°C - 18°C |
| თელავი | 33°C - 16°C |
| ზუგდიდი | 28°C - 17°C |
| ბათუმი | 26°C - 17°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 2.75 | -0.01 | -0.43% |
| გაზი | 2.91 | +0.02 | +0.55% |
| ოქრო | 1,618.60 | -3.20 | -0.20% |
| ხორბალი | 799.25 | +0.00 | +0.00% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
**ჩვენი პარტნიორები:**

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## აშშ რუსეთთან ურთიერთობებში პაუზას იღებს

ივა შილაკაძე

წინა კვირაში ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ აშშ მიზანშეუწონლად მიიჩნევს პრეზიდენტების ორმხრივ შეხვედრას მოსკოვში დიდი ოცეულის სამიტის წინ, რომელიც სექტემბერში სანკტ პეტერბურგში ტარდება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე



## პოსტაპოკალიპტური კინოს წელი

### გაქირავებაში თინათინ გურჩიანის დოკუმენტური ფილმი გამოდის

ია ვეკუა

წლევანდელი ბლოკბასტერების მთავარი თემა პოსტაპოკალიპტური სამყაროა. როგორც ჩანს, 2012 წლის „კატასტროფას“ გადარჩენილი კაცობრიობა სიცოცხლის გარძელებას ამ გზითაც აღნიშნავს და ერთი მეორეს მიყოლებით უშვებენ ფილმებს, რომლებშიც სხვადახვა ხარისხის ფანტაზის მეშვეობითაა გადმოცემული, თუ როგორი იქნებოდა დედამიწა, უძველესი მაიას ტომელების „წინასწარეტყველება“ რომ ახდენილოყო. სწორედ ამ თემას ეხმიანება ჯოზეფ კოსინსკის „ობლივიონიც“, რომელიც მსოფლიო გაქირავებაში 19, ხოლო ჩვენთან 18 აპრილს გამოდის.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე



*კადრი ფილმიდან „ობლივიონს“*

## „ასლან აბაშიძეს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში დააპატიმრებენ"

ასლან აბაშიძეს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში დააპატიმრებენ, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ასლან აბაშიძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ განუცხადა. მისი თქმით, აბაშიძეს ერთ საქმეზე პატიმრობა უკვე შეფარდებული აქვს, ხოლო მეორე საქმეზე, რომელიც რამდენიმე ეპიზოდს მოიცავს, სასამართლო განხილვა გრძელდება.

„მის მიმართ საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია. ბრალდების რამდენიმე ეპიზოდი არსებობს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა, რაც ათეულობით მოწმის დაკითხვისას დამტკიცდა. ანუ, ბრალდების იმ ეპიზოდებში, სადაც ასლან აბაშიძეს ვიცავ, არანაირი მტკიცებულებები, მოწმის ჩვენებები, რომლებიც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობაზე საუბრობს, არ არსებობს. რაც შეეხება სხვა ეპიზოდებს, მე სანამ მის დაცვას დავიწყებდი, მანამდე მის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. როგორც ვიცი, იმ ბრალდებებშიც ძალიან სერიოზული დაუსაბუთებლობის ვარიანტებია. რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ეს საქმე ევროპულ სასამართლოშია გაგზავნილი. შესაბამისად, მას საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში დააკავებენ," - განაცხადა სამუშიამ.

მისივე თქმით, საქმე, რომელსაც ბათუმის საქალაქო სასამართლო იხილავს, მოიცავს მათ შორის ქაქუთისა და ჩოლოქის ხიდების აფეთქებისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის ეპიზოდებს.

15 წლით თავისუფლების აღკვეთა კი აბაშიძეს თანამდებობის ბოროტად გამოყენების, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება-გაფლანგვის ბრალდებით მიესაჯა. მასვე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების სასარგებლოდ 98 229 530 ლარის გადახდა დაეკისრა.

გაზეთ „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ასლან აბაშიძის შვილმა გიორგი აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველოში ჩამოსასვლელად ემზადებიან.

„ჯერ მე მოვდივარ, მოგვიანებით მამაც ჩამოვა,» - აღნიშნა გიორგი აბაშიძემ.

# მარგველაშვილმა საარჩევნო კამპანია ნოქალაქევიდან დაიწყო

პირველი გვერდიდან

პრემიერის წარდგენის შემდეგ ამომრჩევლებს სიტყვით გიორგი მარგველაშვილმა მიმართა: **„ნოქალაქევი არის სიმბოლო, საიდანაც რეალურად საქართველო იწყება. აქედან დაიწყო საქართველოს მშენებლობა, როდესაც ქუჯი ერისთავმა თანხმობის ხელი გაუწოდა ფარნავაზს. სწორედ ამით შეიქმნა ის ქვეყანა, რომლის მშენებლობასაც ჩვენ ვაგრძელებთ. როდესაც ასეთ მიწაზე დგახარ, შეუძლებელია, არ იგრძნო ვალდებულება, რომ შენც ბევრი გაქვს გასაკეთებელი."**

მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილს და კოალიციას დიდი ნდობისთვის მადლობას უხდის, თითოეული ხმისთვის ბრძოლის პირობას დებს და არჩევნებში გამარჯვებას იმედოვნებს. **„ქართველი ერის პოლიტიკური სიბრძნის იმედი მაქვს. ერთი წლის წინათ ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა, ქართველ ერთან ერთად, მშვიდობიანად შეცვალა ხელისუფლება და ჩვენ რეალურად შევქმენით ახალი ტიპის გარდაქმნები და ახალი ტიპის მთავრობა. ამან შეცვალა ხელისუფლებისა და ხალხის დამოკიდებულება. ეს მთავრობა არის ხალხი, რომელიც ემსახურება თითოეულ მოქალაქეს,"** - ამბობს მარგველაშვილი.

პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, დემოკრატიული ღირებულებები, ევროპისკენ სწრაფვა, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ქართველი ერის გადაწყვეტილებაა და, ბუნებრივია, კოალიცია ამ კურსის ერთგული რჩება. ამავე დროს, მარგველაშვილის თქმით, „ქართული ოცნების" ცხრათვიანმა მმართველობამ აჩვენა, რომ ის კლიშე, თითქოს ევროპისკენ მოძრაობა არ შეიძლება, თუ რუსეთთან უკიდურესი დაძაბულობა არ არის, ტყუილი იყო. **„ჩვენ შევცვალეთ ეს კლიშე. რეალურად არც ერთი მისხალი არ დაგვითმია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა. ამავე დროს ჩვენ შევძელით და დავიწყეთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. შესაბამისად, იგივე კურსი გაგრძელდება მომავალშიც. საქართველოს სტაბილური და მდგრადი საგარეო პოლიტიკა სჭირდება,"** - განაცხადა მარგველაშვილმა.

მარგველაშვილი ამომრჩევლებს თავისი ოცნებების გამხელას დაჰპირდა და აღნიშნა, რომ მისი სურვილი, პირველ რიგში, ის არის, რომ ქართველი ადამიანი პოლიტიკოსმა არ უნდა შეცვალოს. **„პოლიტიკურმა წყობამ ქართველ ადამიანს უნდა მისცეს საკუთარი ნიჭის, საკუთარი განსაკუთრებულობის და საკუთარი უნიკალურობის გამოვლენის შესაძლებლობა და არა შეცვალოს მისი ბუნება. ჩვენში ევროპელობაც არის, დასავლურობაც, ტოლერანტობაც, მიმღებლობაც. უბრალოდ, ამ ყველაფერს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ გამომჟღავნდეს. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ ჩვენ არ გვესმის კანონი, რომ ჩვენ უნდა შეგვცვალონ. რეალურად, ქართველი ყოველთვის იყო კანონმორჩილი. მას არ მოსწონდა, როდესაც კანონით რაღაცას აძალებდნენ. ქართველი ადამიანისთვის კანონი და სამართლიანობა ერთი და იგივეა და ამას უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო. ადამიანს ამ ახალ სახელმწიფოში უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ იყოს რეალიზებული, მისი ნიჭი აყვავდეს და გალაღდეს და რეალურად ეს ქვეყანა ის ადგილი გახდეს, სადაც საქართველოს მოქალაქისთვის ცხოვრება სანატრელია, საიდანაც ის უცხოეთში კი არ გარბის, რათა უკეთესი ცხოვრება ნახოს, არამედ სადაც უფრო მრავლდება და ძლიერდება,"** - ამბობს გიორგი მარგველაშვილი.

პრეზიდენტობის კანდიდატი ივანიშვილის მთავრობის მიღწევებზეც ამახვილებს ყურადღებას. **„ცხრა თვის განმავლობაში ბევრი ფერმერის ნაკვეთი იქნა მიხედილი, მათ 500-ლარიანი ვაუჩერი გადაეცათ. თქვენი შვილები სკოლაში რომ მივლენ, სახელმწიფოს მიერ ნაყიდი წიგნები დახვდებათ. საქართველოს ყველა მოქალაქე დაზღვეულია, მედია თავისუფალია - ეს ცვლილებებისა და რეფორმების დასაწყისია. ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით და სერიოზული მიზნები გვაქვს განსახორციელებელი,** - ამბობს მარგველაშვილი, - **საქართველო იქნება პოლიტიკურად სტაბილური და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა. ეს არის ქვაკუთხედი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა."**

გიორგი მარგველაშვილის თქმით, 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია მთავრდება და ქვეყანას არ ეყოლება პრეზიდენტი, რომლის მიზანი ქვეყნის დისკრედიტაცია, სასამართლოში ჩარევა, აბსურდული ვეტოებია.

მარგველაშვილის საარჩევნო შტაბს დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს, ხოლო პიარსამსახურს - შალვა რამიშვილი.

ნოქალაქევში იმყოფებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, რომლებიც მარგველაშვილის შესახებ საუბრობენ. **„დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მარგველაშვილი იქნება პრეზიდენტი, რომელიც თავდაცვის უწყების, შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციას დაიცავს. ის იქნება გარანტი, რომ შეიარაღებული ძალები განვითარდეს და თავდაცვის ადეკვატური შესაძლებლობები შეიქმნას. სამხედროებს პროფესიული განვითარების სარბიელი ექნებათ,"** - ამბობს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია.

ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მარგველაშვილი ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია, ერის გაერთიანების ფუნქცია იკისროს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ახალაიას ადვოკატები პროკურორს ბრალს სდებენ

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაიას შს მინისტრობის დროინდელ ეპიზოდზე ბრალდების საქმე განიხილა. აღნიშნული საქმეზე, ახალაიასთან ერთად, ბრალდებულები არიან ალექსი დავითაშვილი, მამუკა აბაშიძე, დავით ვეკუა, ვლადიმერ ზანგიევი, რობერტ სუთიძე და დავით გიორგაშვილი.

სასამართლოზე ბრალდების მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოადგნა. დასკვნითი სიტყვით გამოვიდნენ ასევე ბაჩო ახალაიასთან ერთად ბრალდებული სამი პირის - დავით ჩუბინიძის, დავით გიორგაშვილისა და ვლადიმერ ზანგიევის ადვოკატები.

საქმე ეხება 2012 წლის აგვისტოში მომხდარ ფაქტს, როდესაც, ბრალდების მხარის მტკიცებით, ბაჩო ახალაიას ორგანიზებით შვიდი ადამიანი პოლიტიკური შეხედულებების გამო, აწამეს, დაამცირეს, არაადამიანურად მოეპყრნენ და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

პროკურორი თითქმის ორი საათის განმავლობაში მიმოიხილავდა ბრალდების მტკიცებულებებს და პროცესებზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მოწმეთა ჩვენებებს. პროკურორმა ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებული პირების დამნაშავედ ცნობა მოითხოვა.

პროკურორ შაქრო ზაალიშვილის თქმით, საქმეზე უტყუარი მტკიცებულებები არსებობს. **„ჩვენ მოვითხოვეთ გამამატყუნებელი განაჩენი, წარმოვადგინეთ დასკვნითი სიტყვა უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებზეც აუდიოჩანაწერებიც არსებობს. ეს, მიმაჩნია, საკმაოდ დიდი საფუძველია, რათა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს,"** - განაცხადა პროკურორმა. მისივე თქმით, **„რაც შეეხება რეინჯერების კურსს, დაზარალებულებს საერთოდ არ გაუვლიათ ეს კურსი, არ არსებობს პროგრამა და დოკუმენტი, ეს იყო მოგონილი იმისთვის, რომ ცემის და წამების ფაქტები შეენიღბათ."**

პროკურორის დასკვნას არ ეთანხმება დაცვის მხარე. როგორც ახალაიას ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი «ინტერპრესნიუსთან" საუბარში აცხადებს, ბრალდების მხარის არგუმენტები უსუსური და სუსტია.

**„პროკურორმა ყველაზე უსუსური და სუსტი დასკვნითი სიტყვა წარმოადგინა, რომელიც არ იყო არგუმენტირებული. მარტო ბრალის ფორმულირება და მოწმეების გვარები მეორდებოდა ათჯერ. დასკვნით სიტყვაში პროკურორმა ისეთი მტკიცებულებები მოიყვანა, რომლებიც სასამართლოზე არ გამოქვეყნებულა. ასევე, მან მოწმეთა ჩვენებები დაამახინჯა,"** - ამბობს ბაჩო ახალაიას ადვოკატი.

პროკურორის შემდეგ სასამართლომ ბაჩო ახალაიასთან ერთად ბრალდებულ პირთა ადვოკატების სიტყვა მოისმინა.

ადვოკატები პროკურორის დასკვნით სიტყვას არ ეთანხმებიან. მათი განცხადებით, ბრალდების მხარის არგუმენტები სუსტია და მის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება შანტაჟის და გამოძალვის შედეგად არის მიღებული.

ერთ-ერთი ბრალდებული დავით ჩუბინიძე, რომელსაც დაზარალებულთა მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობა ედება ბრალად, პროკურატურას ტყუილში ადანაშაულებს და ამბობს, რომ სიმართლეს არც მოწმეთა ჩვენებები შეესაბამება.

ადვოკატთა ინფორმაციით, პროკურორი სასამართლოში შსს-ს კუთვნილი ავტომობილით მივიდა. გარდა ამისა, მათივე თქმით, სასამართლოს ეზოში შსს-ს თანამშრომლები იყვნენ მობილიზებული.

პროკურორმა შუქრი ზაალიშვილმა პროცესზე შსს-ს ავტომობილით მისვლა დაადასტურა.

**„მე ვარ შსს-ს გენინსპექციის ზედამხედველი პროკურორი და როცა პროცესებზე მოვდივარ, გამომძიებლები და თანამშრომლები ახორციელებენ ჩემს მოყვანას, რადგან პირადად მე სამსახურებრივი ავტომანქანა არ მყავს,"** - განაცხადა ზაალიშვილმა.

პროცესს დაზარალებულები არ ესწრებოდნენ. პროკურორის თქმით, ისინი პროცესზე ახლობლების თანხლებით მოვიდნენ, რამაც ბრალდებულების უკმაყოფილება გამოიწვია.

**„დაზარალებულები ახლობლებთან ერთად მოვიდნენ, რის გამოც ბრალდებულებმა უკმაყოფილება გამოთქვეს. მე ვთხოვე დაზარალებულებს, არ შემოსულიყვნენ, რათა რამე უთანხმოება არ მომხდარიყო,"** - განაცხადა ზაალიშვილმა.

რაც შეეხება თავად ბაჩო ახალაიას, ის აღნიშნულ საქმეზე პირველად 26 ივლისს დაკითხეს. მაშინ ყოფილმა მინისტრმა მისთვის წაყენებულ ყველა ბრალდებას უსაფუძვლო უწოდა. კერძოდ, პროკურორის შეკითხვაზე - იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე ორი სპეცრაზმელი გააშიშვლეს თუ არა და უკანა ტანში გაუკეთეს თუ არა ტოტები «ფოტოს გადასაღებად და ბაჩო ახალაიას სახალისოდ", თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, რომ ყველაფერი პროკურატურის მოგონილია.

**ყველაფერი თქვენი მოგონილია თავიდან ბოლომდე. ჩვენებებიც თქვენი დაწერილია. მსგავსი დანაშაული იალღუჯის ბაზაზე არ მომხდარა და ბრალდება, რომელიც ჩემ წინაალმდეგ გაქვთ გაწერილი, უსაფუძვლოა. სპეცრაზმელებს რეინჯერის კურსი უტარდებოდათ,"** - განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

ახალაია ამბობდა, რომ შს სამინისტროში მისი ყოფილი მოადგილის შალვა ჯანაშვილის ხელმოწერით არსებობს რეინჯერის პროგრამა, რომლის ამოღების საშუალებაც აქვს პროკურატურას.

**აღნიშნული დოკუმენტის გამოთხოვის საკანონმდებლო შესაძლებლობა მე არ მაქვს და მამაჩემს ხომ არ დავაწერინებ ამ პროგრამას. ეს ინახება შს სამინისტოში შალვა ჯანაშვილის ხელმოწერით. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, გამოითხოვოთ, მაგრამ ამას არ აკეთებთ,"** - მიმართა ბაჩო ახალაიამ პროკურორს.

26 ივლისის პროცესზე ახალაია ასევე იხსენებდა პერიოდს, როდესაც მან შს სამინისტროს დანაყოფის რეინჯერის კურსით მომზადება გადაწყვიტა. ბაჩო ახალაიას თქმით, როდესაც შს საქმეთა მინისტრი გახდა, სამინისტრო შეამოწმა და გამოავლინა, რომ სპეცრაზმის დანაყოფი მოუმზადებელი იყო. ახალაია იხსენებს, რომ მან თავის მოადგილეებთან - შალვა ჯანაშვილთან და ნიკა ძიმცეიშვილთან ერთად მიიღო აღნიშნული დანაყოფის მომზადების გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც დანაყოფი იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე გადაიყვანეს. ბაჩო ახალაია აცხადებს, რომ თუკი საშუალება მიეცემოდა, აღნიშნული დანაყოფიდან ძალიან ბევრს გაათავისუფლებდა, რადგან დანაყოფი ძალიან დაბალი დონის იყო. ამაზე პასუხისმგებლობას კი ახალაია თავის ყოფილ მოადგილე შალვა ჯანაშვილს აკისრებს.

ყოფილი მინისტრის განცხადებით, მეტი დრო რომ ჰქონოდა, აღნიშნული დანაყოფის დიდ ნაწილთან ერთად, შალვა ჯანაშვილსაც გაათავისუფლებდა თანამდებობიდან. მისი თქმით, დანაყოფი, რომელზეც სისხლის სამართლის საქმეშია საუბარი, ყველაზე სამარცხვინო დანაყოფი იყო.

ბაჩო ახალაიას საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს, 13 აგვისტოს, გაგრძელდება.

ახალაია და მისი ადვოკატები დასკვნით სიტყვას დღევანდელ პროცესზე იტყვიან. შვიდი სპეცრაზმელის საქმეზე საბოლოო განაჩენი შესაძლოა, დღესვე გამოცხადდეს.

ცნობისათვის - ყოფილ შს და თავდაცვის მინისტრ ბაჩანა ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტის და რეინჯერების საქმეზე წაყენებული ბრალის გამო აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა აქვს შეფარდებული. რაც შეეხება მის თავდაცვის მინისტრობის პერიოდს, მას ბრალად ედებოდა სამხედროების მიმართ არაადამიანური მოპყრობა და სამხედრო მოსამსახურისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, რაშიც სასამართლომ ახალაია 1 აგვისტოს უდანაშაულოდ ცნო.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მერაბიშვილისთვის გირაოს შეფარდებას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

აქციის მონაწილეებმა რუსთაველის გამზირის ყველა მხრიდან ბარიკადები აღმართეს. ხელისუფლების წარმომადგენლები აქციის ორგანიზატორებთან მოლაპარაკებებს 25 მაისს მთელი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ, რათა მათ აქცია რუსთაველის გამზირიდან სხვა ადგილზე გადაეტანათ, თუმცა უშედეგოდ. სამართალდამცავებმა აქციის ორგანიზატორებს ბოლო გაფრთხილება ღამის 12 საათამდე გადასცეს, ათ წუთში კი აქციის დაშლის ოპერაცია დაიწყო. ოპერაცია დაიწყო იმით, რომ პოლიციელთა ერთმა ჯგუფმა ტროსები გადაჭრა და ბარიერები დაშალა პარლამენტის სამხრეთ მხარეს, რათა მომიტინგეებისთვის დაშლის შესაძლებლობა მიეცათ. სწორედ ამის შემდეგ პოლიციის მთავარი ძალები მანიფესტაციის დასაშლელად დაიძრნენ. მათ ადგილზე მყოფი 1000 მომიტინგიდან 200-მა წინააღმდეგობა გაუწია. მომიტინგეები შეიარაღებულები იყვნენ ფარებითა და ხელკეტებით. დოკუმენტის მიხედვით, არსებობს მტკიცებულებები, რომ მათ მოლოტოვის კოქტეილები ჰქონდათ. ასევე, არსებობდა ინფორმაცია, რომ მომიტინგეთა შორის ცალკეულ პირებს ლეგალურად ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღიც.

**„რამდენიმე მანქანა, რომლებიც პროექტის ორგანიზატორებსა და მათ მცველებს ეკუთვნოდათ, დაიძრა თავისუფლების მოედნისკენ და შეხვდა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ დაკავების ჯგუფს. ჯგუფის მიზანი იყო კანონდამრღვევთა დაკავება. მანქანები არ გაჩერდნენ, გაიარეს პოლიციის რიგებში. შედეგად დაშავდა 5 პოლიციელი, გარდაიცვალა ერთი პოლიციელი და სამოქალაქო პირი. ოპერაციის ტაქტიკური გეგმა სრულფასოვანი იყო და მას იცნობდნენ დანაყოფების მეთაურები. არსებობდა გეგმები მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარებისთვის. არსებობდა დეესკალაციის გეგმა. ოპერატიული ინფორმაცია სათანადოდ ეცნობებოდა მეთაურებსა და დანაყოფებს და საფუძვლად ედებოდა ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს. თავდაპირველად გამოყენებული რესურსები, მათ შორის არასასიკვდილო და სპეციალური დანიშნულების საშუალებები, იყო თითქმის მთლიანად ადეკვატური მოსალოდნელი საფრთხისა,“** - ნათქვამია განცხადებაში. აქვე აღნიშნულია, რომ მტკიცებულებების თანახმად, ოფიცერთა ძალიან მცირე ჯგუფმა საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბა და ოპერაციის დროს გადამეტებული ძალა გამოიყენა.

ადვოკატის ინფორმაციით, აღნიშნული დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება, საქმეში უკვე დევს. გიორგი ჩივიაშვილის თქმით, ამ დასკვნის საფუძველზე 26 მაისის მოვლენების გამო მერაბიშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს ან მას გირაო შეუფარდონ.

**„ეს დასკვნა უამრავ რამეს შეცვლის. ამ დასკვნაში უკვე ყველაფერია განხილული, რაზეც გამოძიება ახლა მსჯელობს. თუკი ისინი ნახავენ და გვექნება შესაძლებლობა, რომ სასამართლომ ამ დასკვნის ირგვლივაც იმსჯელოს, უამრავი ისეთი ნიუანსი გამოიკვეთება, რომლებიც ვანო მერაბიშვილის გამამართლებელ განაჩენს დააყენებს. დასკვნაში საუბარია იმაზე, რომ მიტინგის დაშლის დროს არ ყოფილა ხელმძღვანელი პირების მიერ კონკრეტული გადაცდომის ფაქტი, მასში ასევე არის რეკომენდაციები,“** - აღნიშნავს ჩივიაშვილი.

თუმცა, მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ამერიკული კომპანია «დენსუსის» მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ჯერ კიდევ 2011 წელს გადაცემული დასკვნა მაღალკვალიფიციურად არის შედგენილი და იგი არათუ ეწინააღმდეგება ივანე მერაბიშვილისთვის შერაცხულ ბრალდებას, არამედ ავსებს მას და ადასტურებს ამ ბრალდების დასაბუთებულობასა და კანონიერებას. უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მერაბიშვილისთვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით, მან, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტა, უკანონო ბრძანებები გასცა, რომელთა საფუძველზე საპოლიციო ქვედანაყოფებმა მიტინგის დაშლის წინასწარ მომზადებული, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული გეგმა დაარღვიეს, რომლის მართლზომიერება და მიშანშეწონილობა ზემოაღნიშნული დასკვნითაც გაზიარებულია. შედეგად, დასახიჩრდა და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღო ათეულობით ადამიანმა, ხოლო ორი - გარდაიცვალა.

**„საგულისხმოა, რომ კომპანია დენსუსი დასკვნის შედგენისას უპირატესად ხელმძღვანელობდა მათთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მირ მიწოდებული, ცალკეულ შემთხვევებში ცრუ ინფორმაციებითა და მასალებით. მაგალითად, დასკვნაში ვკითხულობთ: გამზირის დემონსტრანტებისგან გაწმენდის ოპერაციის შესწავლის შედეგად დათხოვნილ იქნა ოთხი პოლიციელი, ერთი - ჩამოქვეითდა და ცხრა პირს გამოეცხადა საყვედური. თუმცა, დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ დანაყოფებში მუშაობდნენ აღნიშნული ოფიცრები ან რა დარღვევებმა/გადაცდომებმა განაპირობა მათი დისციპლინური დასჯა, არ გაცხადებულა. გამოძიებით კი უტყუარად დადგენილია, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირების მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ თვალთმაქცური რეაგირება მოახდინა და ჩადენილ დანაშაულში ივანე მერაბიშვილის მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით მოჩვენებითად დასაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 16 თანამშრომელი, რომელთაგან ნაწილი საერთოდ არ იმყოფებოდა მიტინგის ტერიტორიაზე, ნაწილი - უშუალოდ არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში, ხოლო 3 მათგანი დასჯის შესახებ ბრძანების გამოცემამდე საკუთარი ნებით უკვე გათავისუფლებული იყო შინაგან საქმეთა ორგანოებიდან,“** - წერია პროკურატურის განცხადებაში. ამასთან, უწყებაში მიიჩნევენ, რომ კომპანია «დენსუსის» დასკვნა არ შეიძლება, განხილულ იქნეს როგორც ახლად გამოვლენილი გამამართლებელი მტკიცებულება და მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია სამართლებრივი მანიპულაციისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენს.

საკუთარ უდანაშაულობაზე საუბრობს ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი. მერაბიშვილმა „ფეისბუქში“ სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნა, რომ 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა დაშლა საერთაშორისო ნორმებისა და პრაქტიკის დაცვით განხორციელდა. მისივე თქმით, გუშინ გამოქვეყნებული დოკუმენტი შსს-ს 2011 წლიდან ჰქონდა, თუმცა მისი პოლიტიკური მოტივით გამოყენება არც უფიქრია.

**„ამ დასკვნის ერთადერთი მიზანი იყო მაღალკვალიფიციური ექსპერტიზის ჩატარება და რჩევების მიღება მდიდარი გამოცდილების მქონე ორგანიზაციის მხრიდან. სწორედ ამიტომ, კომპანია ამერიკელმა მეგობრებმა შეარჩიეს. მიმაჩნია, რომ არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს ამ დასკვნის ობიექტურობაში ეჭვი არ შეეპარება. მე არასოდეს მიფიქრია, რომ მსგავს ბრალდებაზე თავის მართლება მომიწევდა და შესაბამისად, ამ დოკუმენტის ადრე გამოქვეყნება ან მისი შენახვა არც მიფიქრია. სწორედ ამიტომ, ჩემს ადვოკატებს ამ დოკუმენტის მოსაპოვებლად სერიოზული შრომა დასჭირდათ, რამაც ჩემი დიდი გაკვირვება გამოიწვია. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, დოკუმენტის გადმოცემის პროცესი გაეჭიანურებინა და მისი მიღება მხოლოდ ჩვენი უცხოელი მეგობრების ჩარევით მოხერხდა,“** - წერს მერაბიშვილი.

თავად 26 მაისის აქციის ორგანიზატორი ნინო ბურჯანაძე ამ ეტაპზე საქართველოში არ იმყოფება, თუმცა კომენტარი გააკეთა მისმა თანაგუნდელმა ირაკლი ბათიაშვილმა. მისი თქმით, კომპანია „დენსუსის“ მიერ გამოქვეყნებული დასკვნა ტყუილია და ამერიკულ მხარეს არც ერთი დაზარალებული არ დაუკითხავს. ბათიაშვილმა ასევე განმარტა, რომ 26 მაისის აქციაზე პირდაპირი პასუხისმგებლები ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი არიან.

**„ამ დასკვნის ახლა გამოქვეყნება და აფრიალება, რაც ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით მოხდა, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ს შანტაჟის მორიგი მცდელობაა. ამ კომპანიას არც ერთი დაზარალებულისგან ინფორმაცია არ მიუღია და სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ რალაც ფირმის მიერ გაკეთებული დასკვნის ტექსტი ერთი ერთზე ემთხვევა იმ ტექსტებს, რასაც 26 მაისის შესახებ სააკაშვილის ხელისუფლება ლაპარაკობდა,“** - ამბობს ირაკლი ბათიაშვილი.

დოკუმენტი ვანო მერაბიშვილის გუნდის წევრებმაც შეაფასეს. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი აქცენტს აკეთებს დასკვნის იმ მონაკვეთზე, სადაც აღნიშნულია, რომ რამდენიმე პოლიციელმა უფლებამოვალეობას გადაამეტა. თუმცა, გაბაშვილის თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ოპერაცია ცუდად იყო დაგეგმილი ან დაგეგმილი იყო ისე, რომ ვინმე შეგნებულად დაზარალებულიყო.

**„ეს სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ფაქტობრივად ახალი გარემოება. სიღრმისეულად არის შესწავლილი და გაანალიზებული მთელი ოპერაციის დაგეგმარება და მიმდინარეობა,“** - დასძენს გაბაშვილი.

გაბაშვილისგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ მმართველი გუნდის წევრებს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი დავით საგანელიძის თქმით, დოკუმენტის მიხედვით, კარგად დაგეგმილ ოპერაციაში ის იგულისხმება, რომ პოლიციელებმა კარგად დაანგრიეს და კარგად დაშალეს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მოედანზე იდგა.

**„კარგი იქნებოდა, ამ კომპანიის წარმომადგენლები 26 მაისს საქართველოში ყოფილიყვნენ და დაენახათ, რეალურად რა ხდებოდა. ის ძალა, რომელიც გამოყენებული იყო მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ, გამოყენებული იყო უსინდისოდ და თუ ამაზე რომელიმე კომპანიას, ამერიკული იქნება ის თუ ევროპული, შეუძლია თქვას, რომ ძალა ადეკვატური იყო, მაშინ ასეთი კომპანიები არ უნდა არსებობდეს,“** - აღნიშნავს საგანელიძე.

# თენგიზ ჯგუშია საპატიმროდან გათავისუფლდა

ყოფილი დეპუტატი და ორგანიზაცია „სამეგრელოს ხმის“ დამფუძნებელი თენგიზ ჯგუშია საპატიმროდან გუშინ გათავისუფლდა. მან გირაოს სახით 2 000 ლარი გადაიხადა.

თენგიზ ჯგუშიამ სასამართლოს ობიექტურობისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ პროცესები ობიექტურად გაგრძელდება.

თენგიზ ჯგუშიას ბრალი ორი მუხლით ჰქონდა წარდგენილი - 236-ე მუხლის მესამე ნაწილით და 239-ე მუხლით. 236-ე მუხლის მესამე ნაწილი ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდვას, დამზადებას, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს, რაც 5-დან 8-წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ხოლო 239-ე მუხლის მესამე ნაწილი ხულიგნობას (3-დან 7-წლამდე).

თენგიზ ჯგუშიამ ზუგდიდის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელ მერაბ ქვარაიას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. ქვარაია და ჯგუშია სუფრაზე ერთად სოფელ რიყეში იმყოფებოდნენ. მოგვიანებით კი მათ ნასვამ მდგომარეობაში ერთმანეთს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რასაც ჯგუშიას მხრიდან გასროლა მოჰყვა. მერაბ ქვარაიას დაზიანებები არ მიუღია. სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან იარაღის მასრებიც ამოიღეს.

## საჯარო სამსახურებში კონკურსით მხოლოდ თანამშრომელთა 4 პროცენტი მიიღეს

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მოქმედი საჯარო დაწესებულებიდან მთლიანობაში, სულ ცოტა, 5 638 თანამშრომელი დაითხოვეს, - ამის შესახებ ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლევაში, რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა განაცხადა, დასახელებული ციფრიდან 2 336-მა ანუ 41 პროცენტმა სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა, რაც ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ ხშირ შემთხვევაში საჯარო მოხელეები საკუთარი ნებით სულაც არ ტოვებდნენ სამსახურს. „საერთაშორისო გამჭირვალობას“ კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ საჯარო სამსახურში 7 800 ახალი თანამშრომელი მიიღეს და აქედან მხოლოდ 4 პროცენტი ანუ 257 დაინიშნა კონკურსის მიხედვით. იმ საჯარო უწყებებიდან კი, რომლებმაც „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ საშტატო ნუსხები მიაწოდეს, საერთო ჯამში, თანამშრომელთა 11 პროცენტი გაათავისუფლეს.

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან სულ გათავისუფლებულია 3 769 მოსამსახურე. ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ყველაზე მეტი საჯარო მოსამსახურე გათავისუფლდა შემდეგი სამინისტროებიდან: შს სამინისტრო - 897, ჯანდაცვის - 883, თავდაცვის სამინისტრო - 690, იუსტიციის - 567 და ფინანსთა სამინისტრო - 278.

ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან სულ 1 769 მოსამსახურე გათავისუფლდა, აქედან ნახევარზე მეტი საკუთარი განცხადების საფუძველზე. როგორც «საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს» ანგარიშშია აღნიშნული გათავისუფლებების ტალღა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო და ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებები პოლიტიკურად მოტივირებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

როგორც ეკა გიგაურმა აღნიშნა, გამოიკვეთა, რომ ბევრმა მოქალაქემ, სამწუხაროდ, არ იცოდა თავისი უფლებების შესახებ, როდესაც მათ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებას აწერინებდნენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ რეკომენდაციებსაც იძლევა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებს მოუწოდებს, არ დაუშვან საჯარო სამსახურში საკადრო ცვლილებები პოლიტიკური ან დისკრიმინაციული ნიშნით. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საჯარო მოხელის დანიშვნისა და გათავისუფლების კრიტერიუმი შეიძლება, მხოლოდ მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა იყოს დაკავებულ თუ დასაკავებელ თანამდებობასთან და რეკომენდებულია, ნებისმიერი საკადრო ცვლილება მხოლოდ კონკურსისა და ატესტაციის გზით განხორციელდეს.

რაც შეეხება ანგარიშს, საანგარიშოდ აღებული იყო პერიოდი 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 1 მარტამდე, რადგან როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობაში“ განმარტავენ, პოლიტიკური ან სხვა დისკრიმინაციული ნიშნით ადამიანთა სამსახურიდან გათავისუფლების ან დასაქმების ყველაზე დიდი რისკი სწორედ არჩევნების პირველ რამდენიმე თვეზე მოდის. კვლევა ეფუძნება საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას, ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ პირისპირ ან ტელეფონით ჩატარებულ ინტერვიუებს და მასმედიით გავრცელებული ცალკეული შემთხვევების ანალიზს.

## ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე ნანახი გოგონა დარეჯან დიასამიძე არ აღმოჩნდა

ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე, გუშინწინ, 24:00 საათზე ნანახი გოგონა დარეჯან დიასამიძე არ აღმოჩნდა, - ამის შესახებ დარეჯან დიასამიძის ახლობლებმა თქვეს. ოჯახის ახლობლების თქმით, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მყოფი გოგონა ერთ-ერთი ფაბრიკის თანამშრომელია, რომელსაც პირადად გაესაუბრნენ.

დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ გოგონა ჰგავდა დარეჯან დიასამიძეს.

„დავინახეთ ეს გოგო და დავურეკეთ პატრულს, მაგრამ არ მოვიდა. პატრულმა გვითხრა, გამომძიებელს ეკუთვნის ეს საქმეო. დავინახე მეზობლის სახლის წინ. იცით, როგორ იყო? არ იყო ნორმალურ ჭკუაზე. წყალი ეჭირა ხელში და სვამდა, აბნეული იყო. ნამდვილად არ ვიცი, ის გოგო თუ იყო, ჰგავდა იმ გოგოს. მეზობელი გამოელაპარაკა. თქვა, რომ 31 დეკემბრის ქუჩას ეძებდა. მეზობელმა ქუჩა ასწავლა და იქეთკენ წავიდა. მეტი არაფერი ვიცი, ჩვენ პოლიციას ველოდებოდით,“ - აღნიშნა ერთ-ერთმა მცხოვრებმა ნათელა დიასამიძემ.

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს ინფორმაციას, რომ დაკარგულ დარეჯან დიასამიძის შესახებ აჭარის საპატრულო პოლიციაში ინფორმაცია შევიდა.

დარეჯან დიასამიძე 7 აგვისტოს დაიკარგა.

## რუსეთის მოქალაქეს არადეკლარირებული ოქროს ნივთები შემოჰქონდა

რუსეთის მოქალაქეს ხელჩანთით არადეკლარირებული ოქროს ნივთები შემოჰქონდა. სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, „ყაზბეგის“ საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ა.კ. შემოვიდა, რომელსაც დათვალიერებისას ხელჩანთაში არადეკლარირებული ოქროს ნივთები აღმოაჩნდა.

კერძოდ, მას თან ჰქონდა: 6 ცალი სამეული (ბეჭედი, წყვილი საყურე), 7 ცალი ბეჭედი, 4 წყვილი საყურე და 1 ცალი ჯვარი. საერთო წონა 175.96 გრამს შეადგენდა.

ექსპერტიზით, საქონლის ღირებულება 7 480 ლარია.

ჩადენილი სამართალდარღვევის გამო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, სანქციის სახით, 7480 ლარის ჯარიმა შეეფარდა.

# ისრაელი ციხეებიდან პალესტინელების პირველ ჯგუფს უშვებს

## თუმცა ებრაულ დასახლებებში ახალ სახლებს აშენებს

ივა შილაკაძე

ორშაბათს, გამთენიისას, იმ 26 პალესტინელი პატიმრის სია გამოქვეყნდა, რომლებიც ისრაელის ციხეებიდან სამშაბათს უნდა გაუშვან. ოთხშაბათს კი იერუსალიმში ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი უნდა გაიმართოს. ამერიკის, როგორც შუამავლის მხრიდან, მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებს ბარაკ ობამას სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში მარტინ ინდიკი.

ისრაელი მოლაპარაკებების განახლების სანაცვლოდ სულ 104 პატიმრის გაშვებას დათანხმდა, რაც ეტაპობრივად განხორციელდება და ეს პირველი ჯგუფია. დანარჩენების გაშვება მათ შორის მოლაპარაკებების წარმატებაზეც იქნება დამოკიდებული. სანამ გასაშვები პატიმრების სია გამოქვეყნდებოდა, მათი ვინაობა მსხვერპლთა ოჯახებს შეატყობინეს, რათა მათ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის კანონით განსაზღვრული 48 საათი ჰქონოდათ.

ეს პატიმრები, ძირითადად, ტერორისტები და მკვლელები არიან, რომლებსაც ისრაელის მოქალაქეთა სისხლში ხელი აქვთ გასვრილი. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ნაწილი, მათ შორის მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები, ასეთ ამნისტიას არ ამართლებენ. ცხადია, მათ გაშვებას არ ეთანხმებიან ტერორისტების მსხვერპლთა ოჯახის წევრები. მათმა ნაწილმა უმაღლეს სასამართლოსთან აქციაც მოაწყო. თუმცა პირველ ჯგუფში ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებსაც თითქმის უკვე მთელი ვადა აქვთ მოხდილი. ისინი ციხეში 80-იანი წლების ბოლოდან ან 90-იანი წლების დასაწყისიდან სხედან, ანუ გასამართლებულები არიან ოსლოს ხელშეკრულების ხელმოწერამდე.




*პიკეტი ისრაელის უმაღლეს სასამართლოსთან*

მთავრობამ ამ 26 კაცზე საბოლოო გადაწყვეტილება თავდაცვის მინისტრ მოშე იაალონის თავმჯდომარეობით მიიღო. პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ მოულოდნელად საავადმყოფოში მოხვდა და მას ღამით ჩაუტარეს სასწრაფო ოპერაცია - მუცლის ღრუდან თიაქარი ამოკვეთეს. ის მუშაობას ალაბთ ორ დღეში გააგრძელებს. სხდომაში მონაწილეობდნენ იუსტიციის მინისტრი ციპი ლივნი, მეცნიერების მინისტრი იაკობ პერი, ასევე უშიშროების და სასჯელაღსრულების სამსახურების ხელმძღვანელები.

დღეს გასაშვები 26 პატიმრიდან 20 მაჰმუდ აბასის მოძრაობა „ფატხის“ წევრია, დანარჩენები მათი კონკურენტების - „ჰამასისა“ და „ისლამური ჯიჰადის“. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ თუ რომელიმე მათგანი ისრაელის წინააღმდეგ მტრულ მოქმედებას გააგრძელებს, მას ციხეში შეაბრუნებენ და ვადას ბოლომდე მოახდევინებენ.

ბოლო ორი დღის განმავლობაში ისრაელის ხელისუფლებამ ებრაულ დასახლებებში 1200 ახალი ბინის მშენებლობის გადაწყვეტილება მიიღო. აქედან, დაახლოებით, 800 იერუსალიმის გარშემო ორ დასახლებაში უნდა აიგოს, დანარჩენები - ცოტა მოშორებით. ამან ძლივს დაწყებული სამშვიდობო პროცესი კინაღამ ჩაშალა. მაგრამ ამერიკელებმა მაჰმუდ აბასი დიალოგის გაგრძელებაზე დაითანხმეს. ამერიკის შეეთებული შტატები თვითონაც არ მიჩნევს კანონიერად მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპროზე დასახლებების მშენებლობას და ეს ბოლო გადაწყვეტილება სახელმწიფო დეპარტამენტმა დაგმო კიდეც. შესაბამისი განცხადება აშშ-ს საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ გააკეთა. ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ მათ საკუთარ ტერიტორიაზე მშენებლობას ვერავინ აუკრძალავს, ამ დასახლებებს კი მაინც იტოვებენ და პალესტინელებს სხვა ტერიტორიას მისცემენ.

ამ მშენებლობების დაწყებით კმაყოფილი, როგორც ირკვევა, არავინაა. ახალმოსახლეები და «მემარჯვენეები» მიიჩნევენ, რომ ნეთანიაჰუმ ამ სახლების მშენებლობის ნებართვა იმიჯის გამოსასწორებლად გასცა, რადგან პატიმრების გათავისუფლებით „მარცხნივ გაუხვია“. ებრაულ დასახლებებში მყოფთათვის ეს კარგია, მაგრამ ისინი მაინც სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ელიან. პალესტინელები კი რიტორიკულ კითხვას სვამენ: რატომ აშენებს ისრაელი სახლებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუ ეს მიწები მაინც პალესტინის ხელში უნდა გადავიდეს? ისრაელი ამ მიწებს ოკუპირებულად არ ცნობს.

პალესტინელები უკმაყოფილოები არიან იმითაც, რომ მათი დელეგაციის მეთაურის საებ ერეკატის მოთხოვნის მიუხედავად, ისრაელის წარმომადგენლებმა ციპი ლივნიმ და იცხაკ მოლხომ საწყის ეტაპზე, ვაშინგტონში, კატეგორიული უარი განაცხადეს პალესტინის მომავალი სახელმწიფოს საზღვრების თუნდ „წინასწარი მონახაზის“ გადაცემაზე. ეს, მათი აზრით, შეიძლება მოგვიანებით მოხდეს, რიგ სხვა საკითხებზე წინასწარი შეთანხმების შემდეგ.

სოციოლოგიური გამოკითხვებით, მოლაპარაკებების წარმატებით დამთავრების არ სჯერა უმრავლესობას არც პალესტინის ავტონომიაში და არც ისრაელში. ისინი მწარე გამოცდილების გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ ამჯერადაც ყველაფერი ლაპარაკის დონეზე დარჩება.

# აშშ რუსეთთან ურთიერთობებში პაუზას იღებს

პირველი გვერდიდან

თუმცა ობამა ოცეულის სამიტში ჩვეულებრივად მიიღებს მონაწილეობას. პარასკევს, ჩვენი დროით უკვე შაბათს, ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პრესკონფერენციაზე თავად განმარტა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის გაუქმების მიზეზები და თან ეს საკმაოდ მკაცრი და ცივი ფორმულირებების გამოყენებით გააკეთა. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ურთიერთობის დათბობა მოკლევადიან პერსპექტივაში მოსალოდნელი აღარ არის და „გადატვირთვის“ პოლიტიკამ საბოლოოდ მარცხი განიცადა.

უმაღლეს დონეზე დაგეგმილი ვიზიტის გაუქმება თავისთავად ძალიან რეზონანსული დემარშია. ბოლოს ასეთი რამ 53 წლის წინათ მოხდა. 1960 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა დუაიტ ეიზენჰაუერთან ორმხრივი მოლაპარაკებები მას შემდეგ გააუქმა, რაც საბჭოთა კავშირის თავზე ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი „უ-2“ ჩამოაგდეს.

პრეზიდენტმა ობამამ კონკრეტულად თქვა, რომ ამ მომენტში ამერიკისთვის მიზანშეწონილია, რუსეთთან ურთიერთობებში პაუზა აიღოს. მისი სიტყვებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი ამ 22 წლის განმავლობაში ორ სახელმწიფოს შორის რთული ურთიერთობა იყო და „რუსეთმა წინ ვერ წაიწია საკითხების მთელ კომპლექსში, რომლებშიც, ჩვენი აზრით, წინსვლა შეეძლო.“ ობამამ ისიც აღნიშნა, რომ პრეზიდენტ პუტინთან მის პირად ურთიერთობას „არ შეიძლება, ცუდი ვუწოდოთ“. ობამას თქმით, მათი საუბრები იყო „გულახდილი და ხშირად კონსტრუქციული, მაგრამ პუტინისთვის უმჯობესი იქნებოდა, წინ ეყურებინა და არა უკან.“

ამერიკის პრეზიდენტმა ღიად განაცხადა, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთობები უფრო მეგობრული იყო პრეზიდენტ მედვედევის დროს. კერძოდ, ობამამ დაასახელა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება; თანამშრომლობა ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების საკითხში; რუსეთი აშშ-ს ავღანეთში მყოფი კონტინგენტის მომარაგებაში ეხმარებოდა (ტრანზიტისთვის ტერიტორიას და საჰაერო სივრცეს უთმობდა) და მოხერხდა რუსეთის შესვლა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, რაც პასუხობს არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ამერიკული კომპანიების ინტერესებსაც.

ობამამ განაგრძო, რომ კრემლში პუტინის დაბრუნების შემდეგ რუსეთმა სულ უფრო გაახშირა ანტიამერიკული რიტორიკის გამოყენება, „რაც შეესაბამება ზოგიერთ ძველ სტერეოტიპს ცივი ომის პერიოდის აშშ-სა და რუსეთის დაპირისპირებაში.“ ობამა განაცხადა, რომ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემა შეხვედრის გაუქმების ერთადერთი მიზეზი არ არის. „ეს ბოლო ეპიზოდი, უბრალოდ, ერთ-ერთია ნელ-ნელა გამოკვეთილ წინააღმდეგობებში, რასაც ჩვენ ვაკვირდებოდით ბოლო თვეებში სირიის და ადამიანის უფლებების საკითხებში. ჩვენთვის პაუზის აღება დროულია, რათა ხელახლა შევაფასოთ, თუ რა მიმართულებით მიდის რუსეთი, როგორია ჩვენი ინტერესები და როგორ მოვაგვაროთ ურთიერთობები, რათა გავაკეთოთ ის, რაც კარგია აშშ-სთვის და ასევე შესაძლოა, რუსეთისთვის. ჩვენ ვაღიარებთ, რომ განსხვავებული შეხედულებები არსებობს და ამის მთლიანად დამალვას არ ვაპირებთ.“

რუსეთის ოფიციალური საპასუხო განცხადება არ გამოქვეყნებულა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მიერ ვაშინგტონშივე გაკეთებულ კომენტარს, რომელიც შეიძლება, უფრო აღქმულ იქნეს როგორც ნაბიჯი დაძაბულობის შერბილებისკენ. თუმცა, ცხადია, რუსეთის მხრიდან პასუხი ამა თუ იმ ფორმით იქნება. შეიძლება ეს, უბრალოდ, ცოტა მოგვიანებით გაკეთდეს, რადგან არაოფიციალურ კომენტარებში ჩანს, რომ ეს რუსეთისთვის ნაწილობრივ მოულოდნელი და ცოტა შეურაცხმყოფელიც აღმოჩნდა.

ობამამ განაცხადა, რომ პეტერბურგში დიდი ოცეულის სამიტზე ჩავა, რადგან ეს არის არა იმდენად აშშ-რუსეთის ურთიერთობის საკითხი, არამედ „ეს მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვის და ჩვენი სამუშაო ადგილებისთვის.“ ამას გარდა, აშშ-ს პრეზიდენტს სწორად არ მიაჩნია 2014 წელს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი იმის გამო, რომ რუსეთში „ლგბტ“-ს საწინააღმდეგო კანონი მიიღეს. დასავლეთის სახელმწიფოებში სულ უფრო ხშირად ისმის ასეთი მოწოდებები, ბოლოს რამდენიმე დღის წინ ევროპას და ამერიკას ამისკენ ბრიტანელმა მწერალმა და ტელეწამყვანმა სტივენ ფრაიმ მოუწოდა. გუშინწინ ფრაის იდეას არც დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კამერონმა დაუჭირა მხარი.

თუმცა დავუბრუნდეთ ლავროვს. იმავე პარასკევს, როცა ობამას პრესკონფერენცია ჩატარდა, ვაშინგტონში შედგა შეხვედრა მინისტრებს შორის ფორმატით 2+2. ანუ ამერიკის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი, რუსეთის მხრიდან კი მათი კოლეგები, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები სერგეი ლავროვი და სერგეი შოიგუ. როგორც ჩანს, ამ შეხვედრამ საკმაოდ კონსტრუქციულ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა და კონკრეტულ საკითხებში მხარეები რაღაცებზე შეთანხმდნენ. ლავროვმა განცხადა, რომ ორმხრივი სამიტი, პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, არ გაუქმებულა და ის, უბრალოდ, გადაიდო. ლავროვი „დარწმუნებულია“, რომ პუტინის მიპატიჟება შენარჩუნებულია და ობამა ამას გამოიყენებს. უფრო მეტიც, ლავროვმა განაცხადა, რომ მხარებს შორის არა ცივი ომი, არამედ მჭიდრო თანამშრომლობაა და იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტების შემდეგ შეხვედრაზე შეიძლება, ორ სახელმწიფოს შორის უვიზო მიმოსვლაზეც კი დაიწყოს საუბარი.

იმავე პათოსით ილაპარაკა თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ. მან თქვა, რომ ორ სახელმწიფოს შორის თუ რამე შეიცვალა, მხოლოდ უკეთესობისკენ და „ჩვენ რამე საფრთხეს ვერ ვხედავთ“. შოიგუმ აღნიშნა, რომ თავდაცვის მინისტრებს შორის კონტაქტები გააქტიურდება, ვიდეოკონფერენციებიც ჩატარდება და მომავალ წელს თანამშრომლობა უფრო დატვირთული იქნება. ლავროვმა დასძინა, რომ მხარეები სირიის თემაზე კონფერენციის მოსამზადებლად ექსპერტების შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

ეს ყველაფერი ცხადია, სიმართლეა. აშშ და რუსეთი აქტიურად თანამშრომლობენ იმ კონკრეტულ საკითხებში (ავღანეთი, ტერორიზმთან ბრძოლა), სადაც მათი ინტერსები ემთხვევა, ასევე განიხილავენ იმ საკითხებს (სირია, ირანი, ჩრდილოეთ კორეა და სხვ.), რომელთა განხილვაც აუცილებელია ექსტრემალური სიტუაციის გამო. თუმცა ვერ გავიზიარებთ ლავროვის ოპტიმიზმს, რაც არც აშშ-ს და არც რუსეთის მხრიდან სხვა ოფიციალური და არაოფიციალური განცხადებებით არ დასტურდება. შეხვედრა, რომელიც გადადებულია გაურკვეველი ვადით და დიდი ხნით, როცა ხელახლა უნდა შეთანხმდეს არა მხოლოდ თარიღი, არამედ დღის წესრიგიც, გაუქმებულია და არა გადადებული. უბრალოდ, გამოცდილმა დიპლომატმა ლავროვმა ცხელ კვალზე საპასუხო განცხადებით სიტუაციის დამძიმება საჭიროდ არ მიიჩნია.

რუსებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ობამას მკვეთრი ფორმულირებებიც, რაც ამ უკანასკნელისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი და უფრო მეტად პირადად ვლადიმირ პუტინზე აქცენტის გაკეთება. საგარეო საქმეთა სამინისტროს მძიმე რეაქციის შესახებ მედიაში უკვე გაჟონა ინფორმაციამ. უბრალოდ, დიპლომატები ესაუბრნენ მათთვის სანდო ჟურნალისტებს და ვინაობის გამოქვეყნება არ ისურვეს. გარკვეული „უხერხულობა“ თეთრმა სახლმაც იგრძნო და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ მოგვიანებით რაღაცები „დააზუსტა“.

უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება ობამას საუბრიდან იმ პასაჟს, როცა ის პუტინთან ურთიერთობაზე ლაპარაკობდა და აღნიშნა, რომ შეხვედრები ხშირად კონსტრუქციული იყო. „ვიცი, რომ ჟურნალისტებს უყვართ ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ უჭირავთ თავი პოლიტიკოსებს. ხანდახან გვეჩვენება, რომ პუტინი სავარძელში მოშვებული ზის, უკანა მერხზე მჯდომი დაღლილი მოწაფის მსგავსად. თუმცა სიმართლეა ის, რომ ჩვენს დისკუსიას ხშირად მოაქვს შედეგი“. ორიგინალში ობამამ იხმარა გამოთქმა „bored kid“, რაც შეიძლება ითარგმნოს ასევე, როგორც „მოწყენილი ბავშვი“. ჯეი კარნიმ კვირას დააზუსტა, რომ ობამას გამოთქმა ეხებოდა სამიტებზე გადაღებულ ფოტოებს და არა მოლაპარაკებების არსს. ჟურნალისტების კითხვაზე კარნიმ ასევე განაცხადა, რომ პრესკონფერენციის შემდეგ პრეზიდენტებს სატელეფონო საუბარი არ ჰქონიათ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანონიმმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ „ობამა ისე დაქოქეს, რომ ის პიროვნებებს შეეხო, რაც აბსოლუტურად მიუღებელია“, თუმცა თქვა ისიც, რომ რუსეთი არ აპირებს ისეთი საპასუხო ნაბიჯების გადადგმას, რომელიც სიტუაციას უფრო დაძაბავს. რუსმა დიპლომატმა მაინც აღიარა, რომ აშშ და რუსეთი ურთიერთობების გარკვეულ გაყინვას ვერ გადარჩებიან.

ეტყობა, რუსები არანაირად არ ელოდნენ, რომ ობამა საჯაროდ მიუთითებდა მედვედევსა და პუტინს შორის განსხვავებაზე, თან ამ უკანასკნელის საზიანოდ. ასევე, მათ არ მოსწონთ ის, რომ ამერიკა „რუსეთში სიტუაციას დააკვირდება“. თუმცა, ალბათ მხოლოდ ძალიან მგრძნობიარე პირი ან სახელმწიფო მიიჩნევს ასეთ გამოთქმებს ქვეყნის თუ პრეზიდენტის შეურაცხყოფად. რეალურად, ობამას ვინმეს შეურაცხმყოფელი არაფერი უთქვამს.

ჟურნალისტები არაოფიციალურად ელაპარაკნენ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებასაც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ბარკ ობამას მიერ გამოცხადებული „პაუზა“ მხოლოდ მას შემდეგ გაუქმდება, რაც მოსკოვი თანამშრომლობის ყველაზე მწვავე და ჯერ გადაუწყვეტელ საკითხებში დათმობებზე წავა. მან მიანიშნა, რომ ახლა ურთიერთობების შემდგომი განვითარება მხოლოდ რუსეთზეა დამოკიდებული.

ბოლო რამდენიმე დღეა, მსოფლიო, განსაკუთრებით ამერიკული და რუსული მედია, აჭრელებულია მიმომხილველების და ექსპერტების კომენტარებით ორმხრივი ვიზიტის გაუქმების გამო. პრესის დაწვრილებითი მიმოხილვა შორს წაგვიყვანს, შევჩერდები რამდენიმე მომენტზე, რომლებზეც, ფაქტობრივად, ყველა თანხმდება და ჯერ კიდევ მანამდე თანხმდებოდა, სანამ ობამა განმარტებებს გააკეთებდა. ურთიერთობა უცებ არ გაფუჭებულა, სხვადასხვა ტიპის პრობლემები და უთანხმოებები გროვდებოდა და სნოუდენის შეფარება, ისიც ასე უშნო დროს, მხოლოდ ბოლო წვეთი იყო. რუსეთი და აშშ ვერ თანხმდებიან შეიარაღების კონტროლის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, სირიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში. ეს ბოლო პუნქტი ძალიან მრავალმხრივია, მოიცავს, ფაქტობრივად, ყველაფერს - ინტერნეტსივრცის და არასამთავრობო ორგანიზაციების საკანონმდებო დონეზე შევიწროვება და შემდეგ დევნა, „ანტიმაგნიტსკის კანონი“ და გაშვილების აკრძალვა, ბლოგერების, ოპოზიციონერების და პანკ ჯგუფ „Pussy Riot“-ის წინაღმდეგ წარმოებული სასამართლო პროცესები და ბოლოს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირების გამოხატვის უფლების შეზღუდვას.

თვით ობამაზე კი ცალსახად ამბობენ, რომ მას რუსეთის მიმართ თავისი დამოკიდებულებების გადაფასება მოუწია. „ისევე როგორც ყველა ამერიკელ პრეზიდენტს, რონალდ რეიგანის გარდა, ხელისუფლებაში მოსვლისას ბარაკ ობამასაც არაფერი ესმოდა რუსეთთან ურთიერთობის შესახებ და მას ხელი გაუწოდა. ახლა კი მიხვდა, რომ ასე ვერაფერს მიაღწევს და ტაქტიკა უნდა შეცვალოს,“ - განაცხადა დევიდ სატერმა, გუძონის ინსტიტუტისა და ჯო ჰოპკინსის ინსტიტუტის მკვლევარმა.

ამ წუთში ძნელია იმის თქმა, რამდენ ხანს გაგრძელდება აცივების პერიოდი ორმხრივ ურთიერთობებში, თუმცა გასული კვირის ბოლოს ობამას გამოსვლა ნამდვილად აღარ ჰგავს მისივე ნათქვამს, რომელიც უკვე მესამედ არჩეულ პუტინთან მედვედევს იაპონიაში შეხვედრის დროს დააბარა და რომელიც შემთხვევით მოისმინეს ჟურნალისტებმა: „გადაეცით ვლადიმირს, რომ არჩევნების შემდეგ მე უფრო მოქნილი ვიქნები“. ეტყობა, ეს სიტყვები პუტინმა პირდაპირ გაიგო და ობამას სისუსტედ მიიჩნია. რუსეთმა წელიწადნახევრის განმავლობაში აღარაფერი დათმო არც სირიის, არც რაკეტსაწინალმდეგო თავდაცვის და არც სხვა უფრო ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებში. ბევრ შემთხვევაში კი, იმავე გაშვილების კანონის მიღების ან იმავე სნოუდენის შეფრების დროს, აშკარა პროვოკაციაზე წავიდა. როგორც ჩანს, მშვიდობისმოყვარე ბარაკ ობამაც ბოლოს გაბრაზდა. ვნახოთ, კონკრეტულად რაზე შეიძლება აისახოს ორ სუპერსახელმწიფოს შორის ურთიერთობის ასეთი გაციება.

# პოსტაპოკალიპტური კინოს წელი

პირველი გვერდიდან

ვიდრე ამ ფილმის შესახებ გიამბობთ, მანამდე ერთ მნიშვნელოვან სიახლეს გაგაცნობთ - 11 აპრილს გაქირავებაში გამოდის ქართული დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“. წლევანდელი სანდენსის კინოფესტივალის მსოფლიო დოკუმენტური კინოს კონკურსის ჯილდო საუკეთესო რეჟისურისთვის სწორედ ამ ფილმის ავტორმა, თინათინ გურჩიანმა მიიღო. ფილმი თბილისის ბოლო კინოფესტივალის პროგრამაშიც იყო ჩართული და ერთმნიშვნელოვნად იმ ფილმების კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთა ნახვაც რეკომენდებული იყო. აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ მეორე შემთხვევა, როდესაც დოკუმენტური, თანაც ქართული პროდუქტი ჩვენს გაქირავებაში გამოდის - მსგავსი რამ შარშანაც მოხდა, როდესაც დიდ ეკრანებზე ნანა ჯანელიძის „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ გაუშვეს.

ამავე დღეს შეგიძლიათ „ჯარისკაცი ჯო: შურისძიების“ ნახვაც, რომელიც 2009 წელს გამოსული „კობრას აღზევების“ სიქველი გახლავთ. ახალ ფილმში წინა ნაწილის პერსონაჟებიც ჩანან, თუმცა აქცენტი აქ უფრო ახალ გმირებზე კეთდება, მათ შორის დუეინ ჯონსის პერსონაჟზე, რომელიც რეალურად პროტაგონისტი გახლავთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქასთში ბრუს უილისის გვარიც იკითხება, შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ,



კადრი ფილმიდან „ტრანსი“

რომ დედამიწას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა თუ საფრთხე არ არსებობს, მაშინ ბრუს უილისის არსებობასაც აღარ აქვს აზრი... მოკლედ, ფილმი ამ ჟანრის მოყვარულთათვის ზედგამოჭრილია.

რაც შეეხება „ობლივიონს“, აქაურობას ბრუს უილისმა აშკარად ვერ უშველა. ფილმი ტიპური პოსტაპოკალიპტური სანახაობაა: დედამიწაზე სიცოცხლე ფაქრობრივად აღარ არის, ადამიანები ცაში, ღრუბლებს მიღმა ცხოვრობენ, თუმცა პერიოდულად მაინც სტუმრობენ ნანგრევების ქვეშ მოყოლილ ქალაქებს, რათა არსებობისთვის აუცილებელი მასალა შეაგროვონ. ტომ კრუზის გმირი ერთ-ერთი შემგროვებელია, მორიგი დავალების შესრულებისას კი მოულოდნელი შეხვედრა და თავგადასავალი ელის. ფილმის რეჟისორი „ტრონი: მემკვიდრეობის“ ავტორი გახლავთ, რომელიც ამ ფილმშიც აგრძელებს ვიზუალური სანახაობით მაყურებლის მოხიბვლას, ხოლო როდესაც სპეცეფექტები არ კმარა, საქმეში ტომ კრუზის შარმი ერთვება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წელს პოსტაპოკალიპტური ფილმები განსაკუთრებით მოდაშია - ეკრანებზე გამოსასვლელად ემზადება ემ ნაით შამალანის „დედამიწის შემდგომ“, ნილ ბლომკამპის „ელიზიუმი“, გილერმო დელ ტოროს „წყნარი ყურე“ და ა.შ. ზომბი აპოკალიფსის შესახებ ფილმების პოპულარობა კი ყველანაირ ნიშნულს სცდება. მიუხედავად იმისა, რომ „მოსიარულე გვამების“ სახით მშვენიერი სერიალი არსებობს, ასევე გვინახავს ჯორჯ რომეროსა და დენი ბოილის ზომბებიც, როგორც ჩანს, მაყურებელი მეტს ითხოვს და ზომბების თემასაც ყველანაირ ჟანრს არგებენ. მაგალითად, წლის დასაწყისში უკვე გამოვიდა რომანტიკული „თბილი გვამები“, ივნისში მძაფრსიუჟეტიანი დრამა „მსოფლიო ომი Z“ გამოვა (ბრედ პიტით მთავარ როლში), რასაც კომედია „ეს დასასრულია“ მოჰყვება. ამ უკანასკნელს ჯად აპატოუსა და კევინ სმიტის კინოს მოყვარულები ალბათ განსაკუთრებით ელიან, რადგან მასში მონაწილე ყველა მსახიობი (ნახსენები რეჟისორების ქასთის მარადიული წევრები) საკუთარ თავს თამაშობს. ფილმის სიუჟეტი კი ჯეიმს ფრანკოს სახლში მოწყობილი წვეულებით იწყება, რომლის სტუმრებიც არიან სეტ როგენი, ჯონა ჰილი, ჯეი ბარუშელი, პოლ რადი, ჯეისონ სიგელი, მაიკლ სერა, დენი მაკბრაიდი, მარტინ სტარი, აზიზ ანსარი, კრეგ რობინსონი, რიანა, ემა უოტსონი და ათასი სხვა.

„ობლივიონის“ პარალელურად გამოდის უკვე ნახსენები დენი ბოილის „ტრანსიც“, რაც ამ რეჟისორის თაყვანისმცემლებისთვის ნამდვილად დიდი საჩუქარია. ჯეიმს მაკავოის, ვინსენტ კასელისა და როზარიო დოუსონის ტრიო გალერეიდან მოპარული ძვირფასი ნახატის ირგვლივ ტრიალებს. ერთმა ნახატი მოიპარა, მეორემ ქურდი გამოიჭირა, მესამე კი მოპარული ნახატის ადგილმდებარეობის დადგენას ჰიპნოზის მეშვეობით ცდილობს. მოკლედ, ჩახლართული ამბავია - ზუსტად ისეთი, როგორიც გადაღებაც დენი ბოილს ჩინებულად შეუძლია.

თვის ბოლოს, კონკრეტულად 25 აპრილს ასევე ორი ფილმის პრემიერა გაიმართება: პირველია საშინელებათა ჟანრის ცნობილი პაროდია „საშიში კინოს“ მეხუთე ნაწილი, მეორე კი დერეკ კიანფრანსის დრამა „ადგილი ფიჭვებს მიღმა“, რომელშიც მთავარ როლებს რაიან გოსლინგი, ევა მენდესი და ბრედლი კუპერი ასრულებენ.

სპორტი

# ATP-ს ექვსი ჩემპიონი-დებიუტანტი

2013 წლის სეზონი საკმაოდ უხვი გამოდგა ATP და WTA ტურნირებზე დებიუტანტების საჩემპიონო ტიტულების მხრივ. გამარჯვება მოიპოვეს არა მარტო ფინალური ორთაბრძოლების აბსოლუტურმა ახალბედებმა, არამედ მრავალგზის ხელმოცარულებმაც, რომელთაც, როგორც იქნა, გაუღიმა ბედმა. 2013 წლის ვაჟთა ტურში დაფიქსირდა ჩემპიონთა ექვსი ახალი სახელი.

**ბერნარდ ტომიჩი - 20 წლის, ავსტრალია**

***Apia International Sydney* (სიდნეი)**

ცოტაა სპორტსმენი, რომელთაც 20 წლის ასაკში შეუძლიათ თავის სახელს დაუმატონ ეპითეტი „ოდიოზური“. მათ შორის ერთ-ერთი ბერნარდ ტომიჩია. უზომოდ ნიჭიერი, ამდენადვე წინააღმდეგობრივი და გაუწონასწორებელი ავსტრალიელი თითქმის ყოველთვიურად ხდება სპორტული ან სკანდალური ქრონიკების გმირი. სამშობლოში ყოველთვის უმაღლეს დონეზე ასპარეზობს. 2013 წელი მან დაიწყო თვით ნოვაკ ჯოკოვიჩის დამარცხებით ჰოპმანის თასის გათამაშებაზე, ხოლო შემდეგ სიდნეის ტურნირის მოგებით მოიპოვა ATP-ს პირველი ტიტული კარიერაში. გამარჯვების გზაზე ტომიჩმა აჩვენა ნამდვილი დიდოსტატის შესაფერი დალვინებული თამაში, უმძიმეს ორთაბრძოლებში დაამარცხა იარკო ნიემინენი და ანდრეას სეპი, ხოლო ფინალში გაუმკლავდა სამხრეთაფრიკელ გიგანტს, კევინ ანდერსონს. მაშინ, იანვარში, ყველა დარწმუნებული, იყო რომ მსოფლიო ჩოგბურთის „ინფან ტერიბლ“, როგორც იქნა, გამოსწორების გზას დაადგა.

**ორასიო სებალიოსი - 28 წლის, არგენტინა**

***VTR Open* (ვინია-დელ-მარი)**

ორასიო სებალიოსი არასდროს ყოფილა გამორჩეული ჩოგბურთელი - ასეთები ლათინურ ამერიკაში ათეულები და ასეულებია. მიმდინარე სეზონამდე ATP-ს ფინალში ის ერთადერთხელ გამოჩნდა 2009 წელს სანკტ-პეტერბურგში, სადაც უკრაინელმა სერგეი სტახოვსკიმ სამ სამ სეტში დაამარცხა. თებერვალში ჩილეს ქალაქ ვინია-დელ-მარში არგენტინელმა „ჩუმ-ჩუმად“ მიაღწია ფინალს - დაამარცხა პირველი ასეულის საშუალო მოთამაშეები პაბლო ანდუხარი, ალბერტო რამოსე და კარლოს ბერლოკი. ფინალში ორასიოს თითქოს შანსი არ უნდა ჰქონოდა - მის წინააღმდეგ თამაშობდა ტურში ახლად დაბრუნებული რაფაელ ნადალი. რეალობა რადიკალურად განსხვავდებოდა ექსპერტთა პროგნოზებისგან - რაფაელი ცდილობდა არ გადაეტვირთა ტრავმირებული მუხლები, მაგრამ, ამავე დროს, თვითონ წააწყდა სირთულეებს ცაცია ორასიოსთან თამაშისას. საბოლოოდ, ორი ტაიბრეიკისა და დაძაბული ბრძოლის შემდეგ, საკუთარი წარმატებით გაოგნებული არგენტინელი გახდა საჩემპიონო თასის მფლობელი.

**ლუკაშ როსოლი - 28 წლის, ჩეხეთი**

***BRD Nastase iriac Trophy (ბუქარესტი)***

ამ გაზაფხულამდე ლუკაშ როსოლის მთავარი მიღწევა იყო ნადალის მოულოდნელი დამარცხება უიმბლდონ-2012 მეორე წრეში. შეიძლება მივათვალოთ იმავე სეზონის დევისის თასიც, რომლის მოპოვებაში ლუკაშმაც მიიღო მონაწილეობა (თუმცა, შეუდარებელი ტომაშ ბერდიხისა და რადეკ შტეპანეკის დამსახურებებთან). აპრილში რუმინეთის დედაქალაქში გამოცდილი ჩეხი არც ინიშნებოდა განთესვაში, რამაც ხელი არ შეუშალა ჩაეტარებინა ცხოვრებაში საუკეთესო ტურნირი. ლუკაშმა მიყოლებით დაამარცხა ჟილ მიულერი, ანდრეას სეპიდა, ვიქტორ ტროიცკი, ყოველგვარი იმედი გადაუწურა წინა წლის გამარჯვებულ ჟილ სიმონს, ხოლო ფინალში სძლია გრუნტის კიდევ ერთ სპეციალისტს, ესპანელ გილიერმო გარსიას. ვერაფერს იტყვი, „ერთი მატჩის გმირის“ სახელს „ერთი ტურნირის გმირის“ სახელი სჯობია.

**ნიკოლა მაიუ - 31 წლის, საფრანგეთი**

***Topshelf Open (ჰერტოგენბოში)***

რამდენი ტურნირიც უნდა მოიგოს ნიკოლა მაიუმ, ის ყველას ემახსოვრება როგორც უიმბლდონ-2010 რეკორდული მარათონის მონაწილე ჯონ ისნერთან ერთად. უფრო ადრე, 2007 წლის სეზონში, ფრანგი ორჯერ მონაწილეობდა ATP ტურნირების ფინალში, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა ენდი როდიკსა და ფაბრიუს სანტოროსთან. მას მერე შვიდი წელი გავიდა. მაიუ უკვე გახდა აღიარებული ვეტერანი, რომელსაც ტრავმებმა კინაღამ დაასრულებინა კარიერა. კიდევ კარგი, რომ ნიკოლამ გაუძლო; წინააღმდეგ შემთხვევაში საჩოგბურთო სამყარო მოაკლდებოდა ნამდვილი სასწაული (მაიუ მშვენივრად თამაშობს ბალახზე, ასე რომ, ჰერტოგენბოშში საკვალიფიკაციო შეხვედრების ჩატარება არ გასჭირვებია. იქ ის რუსული ჩოგბურთის ნამდვილ ბედისწერად იქცა - დაამარცხა ჯერ ჯერ ანდრეი კუზნეცოვი, მერე კი - ევგენი დონსკი. შემდეგ იყო გამარჯვებები ბელგიელ ვეტერან ქსავიე მალისზე და ფინალში - შვეიცარიელ სტანისლავ ვავრინკაზე. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თავზეხელაღებული ფრანგი არ დასჯერდა მიღწეულს და უიმბლდონის შემდეგ გაემგზავრა ნიუპორტში, სადაც ერთ ტიტულს მეორეც დაუმატა.

**ფაბიო ფონინი - 26 წლის, იტალია**

***MercedesCup (შტუტგარტი)***

იტალიური ჩოგბურთის ტიპური წარმომადგენელი - იმპულსური, აქტიური, ენერგიული, ძალიან ნიჭიერი ფაბიო ფონინი დიდი ხანია ცნობილია ტურში, მაგრამ გასულ წლამდე ვერ მოხვდა ATP ტურნირების ფინალში. 2012 წელს, როგორც იქნა, მიაღწია ფინალებს, ბუქარესტსა და სანკტ-პეტერბურგში, მაგრამ ორივეგან დამარცხდა, ჯერ ჟილ სიმონთან, შემდეგ კი - სლოვაკ მარტინ კლიჟანთან. ბოლო მარცხმა ის ძალზე გაანერვიულა. ახალ სეზონში ყველაფერი შეიცვალა (ფონინიმ მიაღწია მონტე-კარლოს „მასტერსის“ ნახევარფინალს, შემდეგ კი, შტუტგარტის გრუნტის საფარზე, როგორც იქნა, მოიპოვა სანუკვარი საჩემპიონო ტიტული - გაუმკლავდა ადგილობრივი გულშემატკივრის კერპებს - ტომი ჰაასსა და ფილიპ კოლშრაიბერს. მოგებით აღფრთოვანებული იტალიელი შემდეგ კვირასვე გაემგზავრა ჰამბურგში, სადაც ისევ გაიმარჯვა. ამ წარმატებებმა ფაბიოს პირველად მისცა საშუალება გადაელახა რეიტინგის ტოპ 20-ის ზღურბლი.

**კარლოს ბერლოკი - 30 წლის, არგენტინა**

***SkiStar Swedish Open (ბოსტადი)***

მორიგი არგენტინელი ჩემპიონი ოცდაათი წლისაა და თავისი კარიერის განმავლობაში, „ჩელენჯერის“ ტურნირებისა და წყვილთა ასპარეზობის გარდა, არაფერზე პრეტენზიას არ აცხადებდა. შარშანდელ სეზონში მან მიაღწია ვინია-დელ-მარის ტურნირის ფინალს, მაგრამ დამარცხდა სახელოვან თანამემამულესთან, ხუან მონაკოსთან. მიმდინარე სეზონში ბერლოკი პერიოდულად არცთუ ურიგო შედეგებს აღწევდა, მაგალითად, ინდიან-უელსის „მასტერსის“ მეოთხე წრე (დაამარცხა ალექსანდრ დოლგოპოლოვი და კეი ნიშიკორე); მაგრამ ბოლო კვირები აშკარად წარუმატებელი იყო - ნებისმიერ ტურნირში შეიძლება მოეგო მხოლოდ სასტარტო შეხვედრა. მით უფრო მოულოდნელი გახდა მისი გამარჯვება შვედურ ბოსტადში გრუნტის კორტებზე. ბერლოკმა რევანში აიღო ორასიო სებალიოსთან ვინია-დელ-მარის მარცხზე, გადამწყვეტ სეტში ანგარიშით 6:0 დაამარცხა ესპანელი ალბერტო რამოსი, დამაჯერებლად განვლო ნახევარფინალი ტიმო დე ბაკერთან. ფინალის ფავორიტე იყო მეორე ესპანელი, ფერნანდო ვერდასკო, მაგრამ თანაბარი გამოდგა მხოლოდ პირველი სეტი, რის შემდეგაც კარლოსი ათამაშდა და მოიპოვა სადებიუტო ჩემპიონობა. შესაძლოა, ეს იყოს პირველი და უკანასკნელი ტიტული მის კარიერაში, მაგრამ ჩოგბურთის ისტორიაში ბერლოკმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი.



ტომიჩი ოდიოზური ფიგურაა

# პრეზიდენტი და პრემიერი „ბალკლიზე“

პირველი გვერდიდან

«ბალკლი“ ბათუმს გეგმიური ვიზიტით და საქართველოს სანაპირო დაცვის წვრთნის მიზნით ესტუმრა. აშშ-ს საელჩოს ცნობით, ვიზიტი აშშ-ს მეექვსე ფლოტის ძალისხმევის გაგრძელებას ემსახურება, რაც შავი ზღვის ქვეყნებთან მსოფლიო საზღვაო პარტნიორობას და საზღვაო უსაფრთხოების გაუმჯობესებას გულისხმობს.

«ბალკლი“ წარმოადგენს აშშ-ს ევროპისა და აფრიკის საზღვაო ძალებს (მეექვსე ფლოტს), რომელიც აშშ-ს ევროპულ სარდლობას ერთობლივ, სრული სპექტრის ოპერაციებში მხარს უჭერს. ფლოტი ზღვაზე თავისუფალი მანევრირების მიზნით მეწინავე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. აგრეთვე, ფლოტი ხელს უწყობს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას და მის შენარჩუნებას. ევროპისა და აფრიკის რეგიონებში უსაფრთხოების, მშვიდობის და სტაბილურობის მიღწევის მიზნით, ფლოტი მანევრირებისთვის საზღვაო სივრცეს სრულად იყენებს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხომალდი აშშ-ს ელჩ რიჩარდ ნორლანდის თანხლებით დაათვალიერეს. პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა ნაწილი ღონისძიებას ოჯახთან ერთად ესწრებოდნენ.

ხომალდის ეკიპაჟსა და მიწვეულ სტუმრებს ჯერ პრეზიდენტმა, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრმა მიმართეს. **„მოხარული ვარ, რომ დღეს საქართველოში შემოვიდა ჩვენი მეგობრისა და სტრატეგიული პარტნიორის - ამერიკის შეერთებული შტატების გემი. სიმბოლურია, რომ ახლა მეექვსე ფლოტის გემზე ვიმყოფებით, რადგან 5 წლის წინათ, როდესაც ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირდა, საქართველოს პორტებში ჩვენს მხარდასაჭერად სწორედ ამ ფლოტის გემები შემოვიდნენ. დღეს ეს მეგობრული ვიზიტია და მინდა, ქართველი ხალხის სახელით კიდევ ერთხელ მივესალმო ჩვენს პარტნიორებს,“** - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერი მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, სულ საქართველოს გვერდითაა. როგორც პრემიერი ამბობს, მეგობრების დახმარებით საქართველო თანამედროვე შეიარაღებულ ძალებს ქმნის.

ბიძინა ივანიშვილი ამერიკას დახმარებისთვის მადლობას უხდის და აღნიშნავს: **„ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს ამერიკელების მხარდაჭერას 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სამოქალაქო ომით დაუძლურებულ ქვეყანას ამერიკელმა ხალხმა ხელი გამოგვიწოდა და სასურსათო დახმარებას გვიგზავნიდა, და ეს დახმარება სწორედ საზღვაო გზით შემოდიოდა,“** - აღნიშნავს ივანიშვილი.

დღეს, როგორც პრემიერი ამბობს, საქართველო უსაფრთხოების სფეროში არა მხოლოდ დახმარებას საჭიროებს, არამედ ქართველი და ამერიკელი სამხედროები ავღანეთში მშვიდობის დაცვას ერთად ახერხებენ. ბიძინა ივანიშვილის აზრით, ქართველები განსაკუთრებულად მეგობრულები არიან და ამერიკის მეგობრულ მხარდაჭერას არასდროს დაივიწყებენ. **„მოვახერხებთ, რომ ღირსეული პარტნიორი ვიყოთ და მომავალში გავამართლოთ ის იმედები, რომლებიც წლების განმავლობაში ამერიკას ჰქონდა. ახალი ხელისუფლება ახალი ენერგიით ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ჭეშმარიტად ძლიერი და დემოკრატიული ქვეყანა იყოს. გარწმუნებთ, მომავალში იამაყებთ თქვენი მეგობრით, დემოკრატიული, ძლიერი საქართველოთი,“** - დასძენს ივანიშვილი.

ტრიბუნასთან მისულმა მიხეილ სააკაშვილმა კი ბიძინა ივანიშვილს მოუწოდა, რომ შეწყვიტოს საქართველოს დადანაშაულება 2008 წლის აგვისტოს ომში.

«იმედი მაქვს, თქვენ არ ხართ შეკრული საქართველოს მტერთან.“ ამის შემდეგ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული რამდენიმე განცხადება შეაფასა. **„ჩვენ სიმშვიდით ვხდებით იმას, რომ მავთულხლართები რამდენიმე ადგილას გადმოიწია. რა თქმა უნდა, იმ ხალხისთვის, ვისაც წყალი, საძოვარი, მიწა, ვენახი წაართვეს, ძნელია ამას მშვიდად შეხვდეს და მათი მშვენივრად მესმის. ვიყავი განმუხურში, ამ წარმოუდგენლად ლამაზ, სამოთხის კუთხეში, სადაც ბოლო წლებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ასობით მილიონი ლარი დაიხარჯა. რუსულ რუკაზე ეს საოცარი ადგილი მონიშნულია, როგორც აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია. თუ რუსები აყვავებულ განმუხურს მავთულხლართებში მოაქცევენ, მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი და მოქალაქე, ამას მშვიდად ვერ შევხვდები. რა თქმა უნდა, ომისკენ არავის მოვუწოდებ, მით უმეტეს, რუსეთთან ომისკენ, მაგრამ ჩვენ ბევრად ნაკლები დრო უნდა ვხარჯოთ საერთაშორისო არენაზე ერთმანეთთან დასაპირისპირებლად. ყველამ ხელები უნდა ჩავკიდოთ ერთმანეთს იმისთვის, რომ მავთულხლართები მეტი აღარ იზმებოდეს ჩვენს ტერიტორიაზე,“** - ამბობს პრეზიდენტი.

როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, მან პრემიერისგან მოისმინა, რომ რუსეთი აგრესორია, რაც მისასალმებელია და სწორი თეზისია. მაგრამ, სააკაშვილის თქმით, ამავე დროს ითქვა, რომ ომზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს ეკისრება: **„პასუხისმგებლობის შესახებ ორიოდ სიტყვის თქმა მინდა. რა თქმა უნდა, მე და ყველა ჩვენგანს ეკისრება პასუხისმგებლობა. ჩვენი პასუხისმგებლობა არის ის, რომელიც რომელაშვილების ოჯახს ჰქონდა და აქვს. მათ გლდანში ვესტუმრე, მისმა ოჯახმა მითხრა, რომ თავის დაღუპულ შვილზე პასუხისმგებლობას გრძნობენ და ისინი პასუხისმგებლობით განაგრძობენ საქართველოს სამასახურს. ქვემო ალვანში გიორგი ანწუხელიძის დედა ვნახე. ძალიან კარგად ვიცი, როგორი ქალბატონია და როგორ პასუხისმგებლობას გრძნობს. ამაყად მომიყვა თავისი ოჯახის წევრებზე და ერთხელ არ დაუკვნესია. კატეგორიულად უარვყოფ, რომ საქართველოს 2008 წლის ომზე რაიმე პასუხისმგებლობა აქვს.“**

ივანიშვილი ტრიბუნასთან მდგომი სააკაშვილის საუბარზე, ძირითადად, ირონიული ღიმილით რეაგირებდა, დროდადრო გვერდით მდგომ აშშ-ს ელჩსაც გადაუჩურჩულებდა. თუმცა ივანიშვილი სააკაშვილის გამოსვლას ერთხელ სიტყვიერადაც გამოეხმაურა. პრემიერმა პრეზიდენტს უთხრა, რომ სწორედ ის იყო პასუხისმგებელი აგვისტოს ომზე და არა საქართველო.

«ბალკლიზე“ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ეს შეპასუხება ერთადერთი არ ყოფილა. მათ ხომალდზე შეხვედრისას ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. პრემიერ-მინისტრი დაინტერესდა, რას ნიშნავდა მიხეილ სააკაშვილის პიჯაკზე დამაგრებული წითელი ყაყაჩო. **„რა გიკეთია, რა გაქვს ეგ გულზე?“** - ჰკითხა პრემიერმა პრეზიდენტს. სააკაშვილმა უპასუხა: **„მოგიხერხებ, რომ იშოვო. ეს ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების სამახსოვრო სიმბოლოა.“**

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პრეზიდენტის გამოსვლა უარყოფითად შეაფასა. **„სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტმა დღეს კიდევ ერთხელ შეძლო, დაერღვია ყველა წესი და რიგი ასეთი შეხვედრებისა. ოფიციალური გამოსვლების შემდეგ მეც მომიწია გარკვეული მობოდიშება ჩვენი სტუმრებისთვის, ვინაიდან ასეთ ღონისძიებებს თავისი ფორმატი და თემატიკა აქვს. სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი ამ ყველაფერს, დიდი ხანია, აღარაფრად დაგიდევთ. ამიტომ, მან სრულიად უადგილო თემები წამოწია, მაგრამ ჩვენ ამას მიჩვეულნი ვართ. უბრალოდ, არ ველოდი, რომ ჩვენი სტუმრების თანდასწრებით ამას გააკეთებდა, მაგრამ მგონი, ყველა უკვე გაგებით ეკიდება ასეთ მოვლენებს,“** - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ სამკერდე ნიშნის შესახებ პრემიერის მიერ დასმულ კითხვას აფასებენ. **„ჩემთვის ძალიან მძიმე სანახავი იყო, როდესაც პრემიერ-მინისტრმა მიმართა პრეზიდენტს: „რა გიკეთია გულზე?“ შესაძლოა, მან მართლაც არ იცის, თუ რისი სიმბოლოა წითელი ყაყაჩო, რაც ჩემთვის ძალიან მძიმეა, მაგრამ კიდევ უფრო მძიმეა, თუ მან იცის და გადაწყვიტა, რომ ამ თემაზე ექილიკა. სამწუხაროა, რომ ქვეყნის მთავრობის მეთაური ასე აგდებულად უდგება ამ საკითხს, აგდებულად უდგება საქართველოსთვის თავგანწირული გმირების ხსოვნას... არ მეგულება ადგილი, სადაც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირებსა და ომზე საუბარი არაკორექტულია,“** - ამბობს საპარლამენტო უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი და იმასაც აღნიშნავს, რომ პრემიერი სამხედრო გემზე პრეზიდენტის ოფიციალური მიმართვის დროს ქილიკს აგრძელებდა.

ღონისძიების შემდეგ ჟურნალისტებთან რიჩარდ ნორლანდმა ისაუბრა: **„გემის მიღებაზე პრეზიდენტის და პრემიერის სტუმრობა ჩვენთვის დიდი პატივია, ეს ამ ვიზიტის წარმატებაზე მეტყველებს. პრეზიდენტი მიმდინარე მოვლენების მიმართ ემოციურად არის განწყობილი, ხოლო პრემიერს ყოველივე ამის შესახებ თავისი ხედვა აქვს.“** როგორც რიჩარდ ნორლანდი აღნიშნავს, საქართველოს შეირაღებულ ძალებთან ორმხრივი თანამშრომლობა წარმატებით მიმდინარეობს. ელჩის თქმით, ამერიკული გემის ვიზიტის გზავნილი ძალიან მარტივია. **„20 წელზე მეტია, აშშ ხელს უწყობს შავ ზღვაში საზღვაო უსაფთხოებას. საქართველოს შეირაღებულ ძალებთან ორმხრივი თანამშრომლობა წარმატებით მიმდინარეობს. ეს მომავალშიც გაგრძელდება იმისთვის, რომ რეგიონში მშვიდობა უზრუნველყოფილი იყოს,“** - ამბობს ამერიკელი დიპლომატი.

***საკუთარი***
**ინფორმაცია**

# ცესკო თავმჯდომარის გარეშე

პირველი გვერდიდან

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, თავმჯდომარეს კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები 5 დღის ვადაში აირჩევენ. თუმცა, თუ აღნიშნული წესით ცესკო-ში გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ, მაშინ იმავე კანდიდატურებისგან ცესკო-ს თავმჯდომარეს პარლამენტი 7 დღის ვადაში ირჩევს. ცესკო-ს თავმჯდომარის ასარჩევად ფარული კენჭისყრა იმართება. კენჭისყრაში მონაწილე ყოველ წევრს ერთი ხმა აქვს. სამივე კანდიდატს ერთდროულად ეყრება კენჭი. ცესკო-ს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ რომელიმე კანდიდატი 4 ან 4-ზე მეტ ხმას მიიღებს.

**„წავიდა და წავიდეს, „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის წევრია და კიდევ ერთი ინტრიგა ააგორეს. ველარაფერს იზამენ, აღარაფერი მოხდება. ხარატიშვილიც წავიდეს და სხვებიც გაყვნენ, ვისაც სურვილი აქვს,“** - ასე შეაფასა ხარატიშვილის გადაწყვეტილება ქვეყნის პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილის გუნდის სხვა წევრებისთვის გაუგებარია, რატომ დატოვა ცესკო-ს თავმჯდომარემ თანამდებობა. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ამბობს, რომ თუკი ასეთი მნიშვნელოვანი პოზიციის მქონე ადამიანს გადადგომა უნდოდა, ეს ჯერ კიდევ მაშინ უნდა გაეკეთებინა, როდესაც გასული არჩევნები წულუკიანისთვის აბსოლუტურად არათავისუფალ გარემოში მიმდინარეობდა.

**„ამ წუთში მისი გადადგომა გაუგებარია. ვფიქრობ, რომ მან არასწორად შეარჩია მომენტი, თუკი მისთვის საქმის ინტერესი იყო მთავარი. გამოვრიცხავ იმას, რომ მასზე რამე ტიპის ზეწოლა იყო. ჩემთვის ცნობილია, რომ მან, როგორც ცესკოს ხელმძღვანელმა, შეძლო ყველა პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობა და დიალოგი,“** - აცხადებს წულუკიანი.

საპარლამენტო უმრავლესობაში მიიჩნევენ, რომ ხარატიშვილი არჩევნების გამოცხადებამდე ან არჩევნების შემდეგ უნდა წასულიყო. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ირინა იმერლიშვილის აზრით, ცესკო-ს ყოფილმა თავმჯდომარემ თანამდებობიდან წასვლის დრო სწორად ვერ გათვალა. მისივე თქმით, ზურაბ ხარატიშვილს ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის პრობლემა არ ჰქონია.

**„რამდენადაც ვიცი და თავადაც არაერთხელ უთქვამს, მას ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პრობლემა არ ჰქონია. რაც შეეხება არჩევნებს, ხარატიშვილი იქნება თუ არა, პრემიერისა და დღევანდელი ხელისუფლებისგან არაერთხელ ითქვა, რომ ეს არჩევნები გამჭვირვალედ, დემოკრატიულად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა ჩატარდეს და ჩვენ ამ დანაპირებს შევასრულებთ,“** - აცხადებს დეპუტატი. იმერლიშვილის თქმით, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინ იქნება ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე, რადგან ცენტრალური საარჩევნო კომისია მხოლოდ ტექნიკურად ატარებს არჩევნებს.

«ნაციონალური მოძრაობის» წევრებისთვის ხარატიშვილის გადაწყვეტილება გაუგებარია, ვინაიდან არჩევნებამდე მხოლოდ ორი თვეა დარჩენილი. უმცირესობის წევრების განცხადებით, მნიშველობა აქვს არა თანამდებობის დატოვებას, არამედ იმ გავლენას, რომელიც შესაძლოა, ამ ფაქტმა არჩევნებზე იქონიოს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე დარწმუნებულია, რომ ხარატიშვილის წასვლა ნეგატიურად იმოქმედებს საარჩევნო პროცესის საორგანიზაციო საკითხებზე.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის განმარტებით კი, ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის მოქმედი მოდელი და კანონით დადგენილი წესი უცნაურ ვითარებას ქმნის. კერძოდ: **„არსებული მოდელის თანახმად, პრეზიდენტი ცესკო-ს თავმჯდომარეობის სამ კანდიდატურას შეარჩევს და მათ ცესკო-ს იმ წევრებს წარუდგენს, რომლებიც ოპოზიციური პარტიებიდან არიან. ანუ საუბარია იმ პარტიების წარმომადგენლებზე, რომლებსაც ბოლო არჩევნებში საუკეთესო შედეგი არ მიუღიათ. კანონის შესაბამის მუხლში თავის დროზე კანონმდებელმა ჩაწერა ტერმინი - „პარტია“ და არა - „საარჩევნო სუბიექტი“. გამოდის, რომ საუკეთესო საარჩევნო შედეგის მქონე კი არის ბლოკი „ქართული ოცნება“, მაგრამ საუკეთესო შედეგის მქონე პარტია „ნაციონალური მოძრაობაა“. ამ უცნაურობას ტერმინი „პარტია“ ქმნის. შესაბამისად, პრეზიდენტმა ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურები „ქართული ოცნების“ იმ ექვს წევრს უნდა წარუდგონის, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არიან წარმოდგენილი და თუ ისინი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ, მაშინ ეს სამი წევრი პარლამენტში გადმოდის და გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს. ამასთან, თუ პრეზიდენტი ისეთ სამ კანდიდატს წარადგენს, რომელთაგან პარლამენტისთვის არც ერთი იქნება მისაღები, თავმჯდომარის მოვალეობას მოადგილე შეასრულებს და არჩევნებს ის ჩაატარებს,“** - განმარტავს ვეფხვაძე.

# დელ ბოსკეს „რეალისა" და „ბარსას" ჰეგემონია არ მოსწონს

გრიგოლ ხოშტარია

*„ბარსა", „რეალი", „ბარსა", „რეალი"... ხანდახან მოსაწყენიც კია მათი ჰეგემონია, მაგრამ ესაა ფეხბურთი, რომელმაც საფეხბურთო სამყარო „ბარსელებად" და „რეალისტებად" გაყო. რა თქმა უნდა, ბევრი ფანი ჰყავთ სხვა კლუბებსაც, მაგრამ ბოლო წლებში პრიმერადივიზიონის ეს ორი ბინადარი დანარჩენებისთვის უკონკურენტო გუნდია. მაგრამ ეს ვითარება სულაც არ მოსწონს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის - ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს ვისენტე დელ ბოსკეს. ამბობს კიდეც, ქვეყნის ჩემპიონატში „ბარსელონასა" და მადრიდის „რეალის" ბატონობა არ მომწონსო.*

„ჩვენ გვაქვს შანსი, ესპანურმა ფეხბურთმა თავიდან აიცილოს რეგრესი, მაგრამ, სამწუხაროდ, კლუბებს შორის ფინანსური უფსკრულია და ეს მათ თამაშზეც აისახება.

იდეალური იქნებოდა, ჩემპიონის ტიტულისთვის ორზე მეტ გუნდს შეეძლოს ბრძოლა. ღმერთმა ქნას, რომელიმე კლუბი მიუახლოვდეს გრანდებს. ეს დიდი ნაკლია, თუმცა, საერთო ჯამში, ჩვენი ჩემპიონატი მაინც ძალიან კარგია", - ესპანური ფეხბურთის მომავალზე წუხს დელ ბოსკე.



*დელ ბოსკესთვის იდეალური იქნებოდა, ჩემპიონობისთვის ორზე მეტი გუნდი იბრძოდეს*

„ბარსასა" და „რეალზე" რომ ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ბოლოს, ვინც ეს გრანდები შეავიწროვა და ესპანეთის ჩემპიონობა იზეიმა, „ვალენსიაა". ეს კი 2004 წლის მაისში მოხდა. მაშინ გუნდს რაფაელ ბენიტესი წვრთნიდა. ამის შემდეგ კი ლა ლიგის ტიტულს მხოლოდ „რეალი" და „ბარსელონა" ეუფლებიან.

ამასობაში კი, ახალი სეზონისთვის სამზადისში, სამეფო და კატალონიურმა კლუბებმა ტურნეები მოიტოვეს უკან. მადრიდულ კლუბს ამერიკული ტურნე ჰქონდა, ხოლო „ბარსელონას" - აზიური.

სამეფო კლუბი ამერიკული ტურნედან შინ ტრიუმფით დაბრუნდა - მოიგო საერთაშორისო ჩემპიონთა თასი (რომელიც პირველად გათამაშდა) და დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხა „ინტერი". ის კი არა, ამერიკაში „რეალმა" ბოლო 15 მატჩი მოიგო, 2006 წლიდან მოყოლებული, როცა გუნდმა „რეალ სოლტ ლეიკ სიტი" 2:0 დაამარცხა. ამასთან, 15 მატჩში ესპანელებმა 45 გოლი გაიტანეს და მხოლოდ 12 მიიღეს.

სადებიუტო ასპარეზობით და მისი შედეგით კმაყოფილი იყო მადრიდელთა იტალიელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „კმაყოფილი ვარ გუნდის მოსამზადებელი ეტაპით და იმ სამუშაოთი, რაც ამერიკის კონტინენტზე გავწიეთ. „რეალში" ფანტასტიკური მიკროკლიმატია. ყველაფერი კარგადაა. სეზონისთვის მზად ვართ!"

ისტორიული მეტოქისგან განსხვავებით, კატალონიურმა კლუბმა ექვსი წინასასეზონო მატჩი ჩაატარა, ოთხი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ერთი წააგო. ექვსი მატჩის განმავლობაში „ბარსამ" 27 გოლი გაიტანა და 6 გაუშვა. ყველაზე მეტი გოლი ლიონელ მესის ანგარიშზეა, რომელმაც ხუთჯერ გამოიჩინა თავი.

კატალონიელებს აზიური ტურნეს ბოლო მატჩი მალაიზიის ნაკრებთან ჰქონდათ, რომელსაც 3:1 მოუგეს და ქვეყნის ჩემპიონატისთვის კარგი მოთელვაც გაიარეს (კატალონიელები 18 აგვისტოს „ბეტისთან" მატჩით გახსნიან ახალ სეზონს). ამ შეხვედრაში თავი გამოიჩინეს სესკ ფაბრეგასმა, ჟერარდ პიკემ და ახალწვეულმა ბრაზილიელმა ნეიმარმა. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მეტოქესთან შეჯახებისას ფაბრეგასმა ტრავმა მიიღო. „ბარსას" ბანაკიდან გამოსული ინფორმაციით, ესპანელ ნახევარმცველს მარჯვენა კოჭის მყესი დაუშავდა და, დიდი ალბათობით, პრიმერადივიზიონის პირველ ტურს „ლევანტესთან" გამოტოვებს. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ 14 აგვისტოს, ეკვადორთან მატჩში, ფაბრეგასი ვერ დაეხმარება ესპანეთის ნაკრებს. გამოკლებული ფაბრეგასის ნაცვლად დელ ბოსკემ ეროვნულ გუნდში არავინ დაამატა და ნაკრები ეკვადორში 20 კაცით გაემგზავრა.

ახალი სეზონი ლა ლიგაში 17 აგვისტოს დაიწყება.

## ოთხი ფინალი და ერთი ოქრო კადეტებისგან

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებმა მაიამიში გამართული მსოფლიოს პირველობა სამი მედლით და გუნდური მესამე ადგილით დაასრულა.

ვაჟთა ნაკრებმა, მთავარი მწვრთნელის, ირაკლი ცირეკიძის ხელმძღვანელობით, ამერიკაში ათკაციანი შემადგენლობით იასპარეზა. ყველაზე შედეგიანად კობა მჭედლიშვილმა (66 კგ.) იჭიდავა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. რობინზონ ბეგლარაშვილმა (50 კგ.) და თამაზ კირაკოზაშვილმა (73 კგ.) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

თორნიკე ნაგლიაშვილსა (50 კგ.) და ერეკლე არხოზაშვილს (55 კგ.) საპრიზო სამეულამდე თითო გადამწყვეტი მოგება დააკლდათ და საბოლოოდ მეხუთე ადგილებს დასჯერდნენ.

იუნიორ გოგონათა ნაკრები გია თენაძის თავკაცობით მაიამიში ხუთი სპორტსმენით ჩავიდა. მათ შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა მარიამ ჯანაშვილმა (52 კგ.). ის ფინალში გავიდა და ტურნირი ვერცხლის მედლით დაასრულა.

ვაჟთა და გოგონათა საერთო გუნდურ ჩათვლაში ქართულმა გუნდებმა ოთხი მედალი დააგროვეს და მეოთხე ადგილი დაიკავეს.

***სამინისტროს პრესსამსახური***

**თვითმმართველი ქალაქი რუსთავი 2013 წლის 22 აგვისტოს აცხადებს განმეორებით აუქციონს (ნომერი 5)**
**თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული**
**არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზაციასთან დაკავშირებით**

1. განხორციელდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (დანართი 1) პრივატიზაცია (ნომერი 5), პირობითი განმეორებითი აუქციონის ფორმით.

2. საპრივატიზაციო ქონების „ბე"–ს შენატანი განისაზღვროს საწყისი საპრივატიზაციო ფასის 30%–ის ოდენობით.

3. მყიდველი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა.

4. აუქციონის საფუძველი: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 12 აგვისტოს ნომერი 5542 ბრძანება.

დანართი 1

| № | ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი კვ/მ | ფასი (ლარი) | ბე (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი | პირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | ქალაქი რუსთავი,შარტავას გამზ. მ/ტ | 3000 | 1კვ/მ – 12,60 ლარი სულ –37800ლარი | 11340 | 52 200 | 02.03.04.187 | 1) 2 წლის ვადაში განხორციელდეს კომერციული ობიექტის მშენებლობა, სადაც განთავსდეს სასტუმრო, სუპერმარკეტი, ფიტნეს–კლუბი, კინოთეატრი, რესტორანი, სწრაფი კვება, ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი და სხვა კომერციული ობიექტები; 2) აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადებიდან 2 წლის განმავლობაში, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს 3 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია; 3) აუქციონის გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში (საკუთრების მოწმობის გაცემამდე) წარმოდგენილ იქნას საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%–ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე, რომლის ვადაც არანაკლებ 2 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას. |
| **2** | ქ. რუსთავი,შარტავას გამზ. #17 მ/ტ | 472 | 1კვ/მ–12,60ლარი სულ –5948ლარი | 1785 | 2000 | 02.03.02.534 | აუქციონის ჩატარებიდან 2 წლის განმავლობაში შესყიდულ ნაკვეთზე განხორციელდეს მშენებლობა |

***აუქციონში მონაწილეობა, პირობები, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:***

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"–ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 9 საათიდან 18 საათამდე (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი, კოსტავას გამზირი №20, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე. აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

***აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:***

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) „ბე"–ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

**ს/ს „ლიბერთი ბანკი" რუსთავის ფილიალი ; ბ/კ 220101413; საიდენტიფიკაციო კოდი 216433287**
**ა/ნ GE24LB0125148543037002 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება);**
გ) **მონაწილის ბილეთის ფასის – 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს: 220101222 სახელმწიფო ხაზინა; 200122900 ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282 (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)**
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"–ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

***დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:***
***ქალაქი რუსთავი, კოსტავას გამზირი №20. ტელ: (8-341) 22 12 66***


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
7 SEPTEMBER
NATIONAL CASTING
TBILISI MALL
14:00 - 18:00
2013 elite MODEL LOOK GEORGIA
IC MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX PROM
BEAUTY SALON L'Académie
OutdooR.ge
MSG MARKETING
ADSSPRINT
TBILISI MALL
McCANN TBILISI
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
EGO MAG
GHN
ANGEL
24 საათი
allmovies.ge
Pink WWW.PINK.GE